ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲗᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, ᲨᲔᲣᲠᲗᲔᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 38-Ე ᲬᲚᲘ | № 23 (11329) | ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 28 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1959 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐ�პ.

გუშინ, 27 იანვარს, მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა.

მოხსენებით სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ გამოვიდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც დელეგატები და სტუმრები მქუხარე ტაშით შეხვდნენ. ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

დიდი ლენინის ყოვლისმძლე დროშით

გაიხსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა

საბჭოთა ქვეყნის, მთელი მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ისტორიაში დიად თარიღად შევა 1959 წლის 27 იანვრის დღე. ამ დღეს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიხსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა.

ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის მრავალი კვირის მანძილზე უდიდესი აღმავლობით ემზადებოდა მთელი ჩვენი ქვეყანა. მილიონობით მუშა, კოლმეურნე, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწე აღფრთოვანებით განიხილავდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მომავალი შვიდი წლის საკონტროლო ციფრების შესახებ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს. საბჭოთა ხალხი მხურვალედ მიესალმა გაშლილი კომუნისტური მშენებლობის ამ დიდებულ პროგრამას. ყრილობისწინა დღეებში წარმოიშვა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმები. ქალაქისა და სოფლის მშრომელები ყრილობას შეხვდნენ ბევრი შესანიშნავი საწარმოო გამარჯვებით. ამით მკაფიოდ გამოვლინდა ხალხისა და პარტიის ურყევი ერთიანობა, საბჭოთა ადამიანების დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგია, მათი მისწრაფება ამრავლონ თავიანთი სოციალისტური სამშობლოს სახელი და დიდება.

ადრე დილიდანვე კრემლის დიდ სასახლეში განუწყვეტლივ მოდიან საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ჩამოსული დელეგატები. იკრიბება პარტიისა და ხალხის საუკეთესო ნაწილი, უკვდავი ლენინის დიადი სკოლის ადამიანები, რომელნიც გაერთიანებული არიან ერთიანი მიზნით — ააშენონ საბჭოთა ქვეყანაში კომუნიზმი, ის, რაზეც საუკუნეობით ოცნებობდნენ კაცობრიობის საუკეთესო მოაზროვნენი. დელეგატებს შორის არიან ჭაღარამოსილი ბოლშევიკები, რომლებმაც გამოიარეს სამი რევოლუციის ცეცხლი, და ისინი, ვინც ლენინის ანდერძს ახორციელებდა დიდი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ, ვინც აშენებდა უდიდეს ქარხნებს პირველ ხუთწლედთა წლებში, აშენებდა კოლმეურნეობებს, ვინც ხალხთან ერთად იცავდა ჩვენს ქვეყანას სამამულო ომის მკაცრ ჟამს. სასახლის ვრცელ ფოიეებში იმართება გულითადი საუბრები, ისმის მეგობრული შეძახილები. აქვე არიან უცხოელი სტუმრები — მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიების წარმომადგენლები. აქ არიან დიდი სახალხო ჩინეთის და სხვა სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები, სტუმრები აზიიდან და ევროპიდან, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკიდან, აფრიკიდან, ავსტრალიიდან.

ათი საათისათვის ყველა შეკრებილმა დაიკავა ადგილი ვეებერთელა ნათელ სასხდომო დარბაზში. დელეგატები და სტუმრები მქუხარე ოვაციით მიესალმნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებსა და პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატებს ამხანაგებს **ა. ბ. არისტოვს, ნ. ი. ბელიაევს, ლ. ი. ბრეჟნევს, კ. ე. ვოროშილოვს, ნ. გ. იგნატოვს, ა. ი. კირიჩენკოს, ფ. რ. კოზლოვს, ო. ვ. კუუსინენს, ა. ი. მიქოიანს, ნ. ა. მუხიტდინოვს, მ. ა. სუსლოვს, ე. ა. ფურცევას, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. მ. შვერნიკს, პ. ნ. პოსპელოვს, დ. ს. კოროტჩენკოს, ი. ე. კალნბერზინს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს. კ. ტ. მაზუროვს, ვ. პ. მჟავანაძეს, მ. გ. პერვუხინს, ნ. ვ. პოდგორნინს, დ. ს. პოლიანსკის.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი **ნ. ს. ხრუშჩოვი** აცხადებს, რომ პარტიის XXI ყრილობაზე არჩეულია 1.269 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 106 დელეგატი სათათბირო ხმით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დავალებით ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს წინადადება შეაქვს დაიწყოს ყრილობის მუშაობა და გახსნილად აცხადებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობას.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, რომ სკკპ XX ყრილობის შემდეგ გასულ დროში საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას გამოაკლდნენ მთელი რიგი გამოჩენილი მოღვაწეები — მარსელ კაშენი, ბოლესლავ ბერუტი, ანტონინ ზაპოტოცკი, ჯუზეპე დი ვიტორიო, გიორგი დამიანოვი და მშვიდობისათვის თვალსაჩინო მებრძოლი ფრედერიკ ჟოლიო-კიური.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს წინადადება შეაქვს მათ ხსოვნას პატივი სცენ წუთიერი დუმილით. ყველანი ფეხზე დგებიან.

შემდეგ ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, რომ ყრილობაზე დელეგაციები ჩამოვიდნენ უცხოეთის 70 მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიისაგან. იგი მადლობას უძღვნის მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, რომლებმაც თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნეს სკკპ XXI ყრილობაზე. და ყოველთვის, როცა ნ. ს. ხრუშჩოვი ასახელებს დელეგაციასა და მის ხელმძღვანელს, დარბაზში გაისმის მხურვალე ტაში.

ყრილობა იწყებს თავისი ხელმძღვანელი ორგანოების არჩევას. სიტყვა ეძლევა ამხ. ლ. ი. ნაიდეკს. საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციების დელეგაციათა წარმომადგენლების საბჭოს დავალებით მას წინადადება შეაქვს ყრილობის პრეზიდიუმი არჩეულ იქნას 39 კაცის შემადგენლობით. პრეზიდიუმს ირჩევენ ერთხმად.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

ე. ი. ანდრეევა	ო. ვ. კუუსინენი
ა. ბ. არისტოვი	დ. მ. მატიუშკინი
ნ. ი. ბელიაევი	რ. ი. მალინოვსკი
ლ. ი. ბრეჟნევი	ნ. ი. მამაი
ა. ი. გაევოი	კ. ტ. მაზუროვი
ვ. ვ. გრიშინი	ვ. პ. მჟავანაძე
ლ. ნ. ეფრემოვი	ა. ი. მიქოიანი
მ. ტ. ეფრემოვი	ი. დ. მუსტაფაევი
კ. ე. ვოროშილოვი	ნ. ა. მუხიტდინოვი
ნ. გ. იგნატოვი	ნ. ვ. პოდგორნი
ი. ე. კალნბერზინი	დ. ს. პოლიანსკი
ნ. ტ. კალჩენკო	პ. ნ. პოსპელოვი
ს. კამალოვი	ზ. ტ. სერდიუკი
ი. ვ. კაპიტონოვი	ი. ვ. სპირიდონოვი
ა. პ. კირილენკო	მ. ა. სუსლოვი
ა. ი. კირიჩენკო	ვ. ი. უსტინოვი
ფ. რ. კოზლოვი	ე. ა. ფურცევა
დ. ს. კოროტჩენკო	ნ. მ. შვერნიკი
ა. ნ. კოსიგინი	ნ. ს. ხრუშჩოვი
დ. ა. კუნაევი	

ამხ. ვ. ი. უსტინოვის წინადადებით, რომელიც გამოვიდა დელეგაციათა წარმომადგენლების საბჭოს დავალებით, ერთხმად ირჩევენ ყრილობის სამდივნოს 13 კაცის შემადგენლობით.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝ

გ. ა. დენისოვი	ზ. ნ. ნურიევი
ს. დ. იგნატიევი	დ. ა. პოლიკარპოვი
ო. ი. ივაშჩენკო	ი. რ. რაზაკოვი
ფ. კარიბჟანოვი	ნ. ნ. როდიონოვი
ე. პ. კოლუშჩინსკი	ტ. ულჯაბაევი
ვ. ნ. მალინი	ა. მ. შკოლნიკოვი
პ. გ. მოსკატოვი	

სიტყვა ეძლევა ამხ. ნ. ნ. როდიონოვს, რომელსაც დელეგაციათა წარმომადგენლების საბჭოს დავალებით წინადადება შეაქვს არჩეულ იქნას სარედაქციო კომისიაში 11 კაცი. ამ წინადადებას ერთსულოვნად უჭერენ მხარს.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ

პ. ი. დორონინი	პ. ა. სატიუკოვი
ა. თ. ზასიადკო	ა. ი. სნეჩკუსი
ლ. თ. ილიჩოვი	ს. ა. თოვმასიანი
ნ. ვ. კისელიოვი	ა. ი. ხვოროსტუხინი
ი. ი. კუზმინი	ტ. ფ. შტიკოვი
ბ. ნ. პონომარიოვი	

ერთხმად ირჩევენ სამანდატო კომისიას 17 კაცის შემადგენლობით, რის შესახებაც წინადადება შეაქვს ამხ. კამალოვს, რომელიც გამოვიდა დელეგაციათა წარმომადგენლების საბჭოს დავალებით.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲜᲓᲐᲢᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ

მ. ბეისებაევი	ი. გ. კებინი
ფ. ს. გორიაჩევი	ა. ნ. ლარიონოვი
ა. დ. დანიალოვი	ი. კ. ლებედევი
გ. დ. ჯავახიშვილი	ლ. ი. ნაიდეკი
ი. კ. ჟეგალინი	შ. რ. რაშიდოვი
დ. დ. ყარაევი	ვ. ე. სემიჩასტნი
ი. პ. კაზანეცი	ტ. ი. სოკოლოვი
ტ. ი. კისელიოვი	დ. ფ. უსტინოვი
	ვ. მ. ჩურაევი

შემდეგ დელეგატები ამტკიცებენ ყრილობის დღის წესრიგს.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ:

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები.

დარბაზში გაისმის მქუხარე ტაში, როცა ამხ. ა. ი. კირიჩენკო მოხსენებისათვის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ სიტყვას აძლევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვს.**

ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** მოხსენებას დელეგატები და სტუმრები უდიდესი ყურადღებით ისმენენ და არაერთგზის აწყვეტინებენ სიტყვას მქუხარე ოვაციით.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეერთე ყრილობა შეიკრიბა იმისათვის, რომ განიხილოს სსრ კავშირის სახალხო ძეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები. ჩვენმა ყრილობამ უნდა განიხილოს საბჭოთა კავშირში შემდგომი კომუნისტური მშენებლობის, ეკონომიკის, კულტურისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ახალი აღმავლობის პროგრამა. ეს დიადი პროგრამაა. თავისი გრანდიოზულობით მას ბადალი არ მოეპოვება ისტორიაში. გაითვალისწინა რა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის უდიდესი მნიშვნელობა, ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 1958 წლის სექტემბერში გაიმართა, საჭიროდ მიიჩნია ამ გეგმის განსახილველად ჩვენი პარტიის რიგგარეშე ყრილობის მოწვევა.

პარტიის XX ყრილობის შემდეგ სამი წელიწადი გავიდა. ამ წლების განმავლობაში ჩვენი საბჭოთა სამშობლო კვლავ მტკიცედ მიდიოდა წინ ლენინური გზით კომუნიზმისაკენ, კიდევ უფრო განამტკიცა თავისი ძლიერება, ამაღლდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ახორციელებს რა პარტიის XX ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ხალხმა შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. მნიშვნელოვნად ამაღლდა ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ცხოვრების დონე.

განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა ისტორიული მნიშვნელობა როგორც სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობისათვის, ისე მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობისათვის. სოციალიზმის სამყარო ამჟამად უფრო მტკიცე, ერთიანი და ურყევი გახდა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. იგი გადამწყვეტ ზემოქმედებას ახდენს კაცობრიობის განვითარების მთელ მსვლელობაზე. სრული საფუძვლით შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე პროგრესულს სათავეში უდგანან სოციალიზმის ქვეყნები.

I

საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვებანი

ამხანაგებო! დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ცოტა ხნის შემდეგ ვ. ი. ლენინი, ასაბუთებდა რა ჩვენი პარტიის პროგრამას, ამბობდა: „როცა ვიწყებთ სოციალისტურ გარდაქმნებს, ნათლად უნდა დავისახოთ ჩვენს წინაშე მიზანი, რომლისკენაც, ბოლოს და ბოლოს, მიმართულია ეს გარდაქმნანი, სახელდობრ მიზანი კომუნისტური საზოგადოების შექმნისა“ (თხზ., ტ. 27, გვ. 137).

ეს დიადი მიზანი — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენება — მუდამ აღაფრთოვანებდა და ახლაც აღაფრთოვანებს საბჭოთა ხალხს ახალი და ახალი საგმირო საქმეებისათვის.

ახორციელებდა რა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკას, ჩვენმა ხალხმა პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი, მოახდინა უღრმესი გარდაქმნები. გადალახეს რა თავიანთ გზაზე ყველა სიძნელე, ამსხვრევდნენ რა კლასობრივი მტრებისა და მათი აგენტურის — ტროცკისტების, მემარჯვენე ოპორტუნისტების, ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და სხვათა წინააღმდეგობას, ჩვენმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მოიპოვეს ისტორიული გამარჯვებანი, ააშენეს ახალი, სოციალისტური საზოგადოება. წარსულში ჩამორჩენილი ჩვენი ქვეყანა მძლავრი ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტური სახელმწიფო გახდა. სსრ კავშირს ამჟამად სამრეწველო წარმოების მოცულობის მიხედვით ევროპაში პირველი და მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავს.

წლითიწლობით წარმატებით სრულდება ჩვენი სახალხო-სამეურნეო გეგმები. მრეწველობის საერთო პროდუქცია 1913 წელთან შედარებით 36-ჯერ გადიდდა, ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოება გაიზარდა 83-ჯერ, ხოლო მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქცია — ორასორმოცჯერ.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში წარმატებით შესრულდა 1958 წლის გეგმა. წლის განმავლობაში სამრეწველო პროდუქცია გაიზარდა 10 პროცენტით ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7,6 პროცენტისა. პროდუქციის გამოშვების გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ და ყველა სახალხო მეურნეობის საბჭომ. დიდი წარმატებებია მიღწეული სოფლის მეურნეობის დარგში. გადაჭარბებით შესრულდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საერთო გეგმა და საბინაო მშენებლობის გეგმა.

1958 წელს სსრ კავშირში გამოდნობილია 55 მილიონამდე ტონა ფოლადი. ამოღებულია 113 მილიონი ტონა ნავთობი, გამომუშავებულია 233 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ჩვენში ახლა თვეში მეტ ფოლადს ადნობენ და მეტ ნავთობს იღებენ, ვიდრე მთელ 1913 წელს. ყოველ სამ დღეში წარმოებს იმდენი ელექტროენერგიის გამომუშავება, რამდენის გამომუშავებაც რევოლუციამდელ რუსეთში წლის მანძილზე ხდებოდა.

ჩვენ ყველას გვახარებს ეკონომიური განვითარების ისეთი დამაჯერებელი მაჩვენებელი, როგორიც არის სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა ზრდა. ომის შემდგომ წლებში სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა მოცულობა თანამედროვე ფასებში შეადგენდა 1 ტრილიონ 600 მილიარდ მანეთზე მეტს. მარტო 1958 წელს კაპიტალურმა დაბანდებებმა შეადგინა 235 მილიარდი მანეთი, ესე იგი მეტი, ვიდრე პირველი და მეორე ხუთწლედების მანძილზე.

ბურჟუაზიული ეკონომისტები და პოლიტიკოსები არაერთხელ წინასწარმეტყველებდნენ, რომ, აღადგენდა რა სახალხო მეურნეობას ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირი იძულებული გახდებოდა შეენელებინა თავისი ეკონომიკის განვითარება. მაგრამ ეს წინასწარმეტყველება საბნის ბუშტივით გასკდა. საბჭოთა ეკონომიკა კვლავ სწრაფი ტემპებით ვითარდება.

სამრეწველო წარმოების უდიდესი მასშტაბები, მისი სწრაფი ტემპები მიღწეულია მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა ფართოდ გამოყენების საფუძველზე. განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში უზრუნველყოფილია უწინარეს ყოვლისა ელექტროფიკაციისა და მანქანათმშენებლობის, განსაკუთრებით ჩარხმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა, რადიოელექტრონიკის, ელექტროტექნიკის განვითარებით. მარტო უკანასკნელ სამ წელიწადში შექმნილი და ათვისებულია 4.500-ზე მეტი უახლესი ტიპის მანქანები, მექანიზმები და აპარატები.

ტექნიკური პროგრესისა და საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე განუწყვეტლივ იზრდება შრომის ნაყოფიერება. 1958 წელს 1913 წელთან შედარებით მრეწველობაში მუშათა შრომის ნაყოფიერება გაიზარდა დაახლოებით 10-ჯერ, — და ეს მაშინ, როცა მნიშვნელოვნად შემცირდა სამუშაო დღის ხანგრძლივობა. 1940 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით გასულ წელს გაიზარდა 2,6-ჯერ, ხოლო მშენებლობაში — 2,4-ჯერ.

უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც აჩქარებს სახალხო მეურნეობის განვითარებას, იყო მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა. სახალხო მეურნეობის საბჭოების მუშაობის შედარებით მოკლე პერიოდში გამოვლინდა მრეწველობის მართვის ახალი ფორმის მნიშვნელოვანი უპირატესობანი, უფრო კონკრეტული გახდა წარმოების ხელმძღვანელობა. გაძლიერდა სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპები, გაუმჯობესდა წარმოების შინაარსი ერვებისა და ჩვენი ქვეყნის ბუნების სიმდიდრეთა გამოყენება, ამაღლდა მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების აქტივობა და ინიციატივა, უფრო ფართო გაქანება მიიღო სოციალისტურმა შეჯიბრებამ. შეიქმნა ხელსაყრელი პირობები სპეციალიზაციისა და კოოპერირების შემდგომი განვითარებისათვის. ამ ხნის განმავლობაში იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც გეგმას ვერ ასრულებენ, ერთნახევარჯერ და უფრო მეტად შემცირდა.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

სახალხო მეურნეობის საბჭოების მუშაობის პირველ წელს სამრეწველო პროდუქციის მატება 17 მილიარდი მანეთით მეტი იყო, ვიდრე წინა წლის მატება. 1957 და 1958 წლებში გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა. საერთო ზეგეგმითმა ეკონომიამ თვითღირებულების შემცირებით 1958 წელს 10 მილიარდ მანეთზე მეტი შეადგინა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ჩამორჩენილი საწარმოები, რომლებიც საგეგმო დავალებებს ვერ ასრულებენ. საჭიროა კვლავაც დაუცხრომლად სრულყოფდეთ წარმოების ხელმძღვანელობას, ვავლინებდეთ და აღვკვეთდეთ ნაკლოვანებებს მრეწველობის მუშაობაში, უფრო სრულად ვიყენებდეთ რეზერვებს.

ჩვენმა ქვეყანამ შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც გასული წლის დეკემბერში გაიმართა, შეჯამებულ იქნა უკანასკნელ ხუთ წელიწადში სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები, გაკრიტიკებულ იქნა ნაკლოვანებანი და დაისახა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ძირითადი ამოცანები. ეს პლენუმი არსებითად იყო მთელი ხალხის წინაშე პარტიის პოლიტიკური ანგარიში უკანასკნელ ხუთ წელიწადში სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ღონისძიებათა შესრულების შესახებ.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში წარსულში დაშვებული იყო სერიოზული ნაკლოვანებანი და შეცდომები. ბევრი კოლმეურნეობა მთელი რიგი წლების მანძილზე ეკონომიურად სუსტი იყო, შეფერხდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა და მისი დონე ვერ აკმაყოფილებდა ჩვენი ქვეყნის გაზრდილ მოთხოვნილებებს სურსათსა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე. სოფლის მეურნეობის მდგომარეობა მაშინ ჩვენში მძიმე იყო და შეიცავდა საშიშ შედეგებს, რომლებსაც შეეძლოთ შეეჩერებინათ საბჭოთა ქვეყნის წინსვლა კომუნიზმისაკენ. ჩვენმა პარტიამ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმზე, ცენტრალური კომიტეტის შემდგომ პლენუმებსა და პარტიის XX ყრილობაზე მწვავედ გააკრიტიკა შეცდომები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში, ჩამოიშორა გზაზე ყველაფერი, რაც ხელს უშლიდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარებას და დასახა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამა.

სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის დაძლევისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის საჭირო გახდა პარტიის, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და საბჭოთა ინტელიგენციის დიდი ღონისძიებანი. პარტიამ გააჩაღა უდიდესი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მასებში, გადაწყდა სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების ბევრი უმნიშვნელოვანესი ეკონომიური საკითხი, აღდგენილ იქნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებით სოფლის ყველა მშრომელის მატერიალური დაინტერესების პრინციპი. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები განმტკიცებული არიან სპეციალისტთა, მექანიზატორთა და ხელმძღვანელ მუშაკთა კადრებით. სოფლის მეურნეობაში გაიგზავნა ასეულ ათასობით ტრაქტორი, კომბაინი, მილიონობით სხვადასხვა მანქანა და იარაღი. განვლილი ხუთი წლის მანძილზე სახელმწიფო კაპიტალურმა დაბანდებებმა სოფლის მეურნეობაში 100 მილიარდამდე მანეთი შეადგინა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებით სსრ კავშირის მშრომელებმა აითვისეს ათეულ მილიონობით ჰექტარი ახალი მიწები. ეს საბჭოთა ხალხის დიდი გმირობა იყო. ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე აღინიშნა, რომ ყამირის ათვისების შედეგად ჩვენმა ქვეყანამ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე დამატებით დაამზადა მილიარდობით ფუთი პური და არა მარტო დაფარა ყამირი მიწების ათვისებაზე გაწეული მთელი ხარჯები, არამედ, გარდა ამისა, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 18 მილიარდ მანეთზე მეტი წმინდა შემოსავალი მიიღო.

პარტიის იმ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებამ, რომლებიც მიიწონა და რომლებსაც მხარი დაუჭირა მთელმა საბჭოთა ხალხმა, შესაძლებელი გახადა მოკლე ვადაში დაგვეძლია სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა და განგვემტკიცებინა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა, განგვეხორციელებინა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია და შემოგვეღო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ახალი წესი და პირობები.

როგორც ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა აღნიშნა, ღონისძიებებს, რომლებიც პარტიამ შეიმუშავა და განახორციელა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ჭეშმარიტად რევოლუციური მნიშვნელობა აქვს და შესანიშნავი ნაყოფი მოაქვს ჩვენი სამშობლოსათვის. 1958 წელს დამზადდა 3 მილიარდ 500 მილიონი ფუთი მარცვლეული, ესე იგი 1 მილიარდ 600 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე 1953 წელს. უკანასკნელ ხუთ წელიწადში წინა ხუთ წელიწადთან შედარებით მარცვლეულის წარმოების საშუალო წლიური ოდენობა 39 პროცენტით გადიდდა. ეს, ამხანაგებო, დიდი გამარჯვებაა.

დიდი წარმატებებია მოპოვებული აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების. განსაკუთრებით შაქრის ჭარხლისა და ბამბის წარმოებაში. 1958 წელს აღებულია 54 მილიონ ტონაზე მეტი შაქრის ჭარხალი, ანუ ორჯერ და უფრო მეტი, ვიდრე 1953 წელს. გასულ წელს მებამბეებმა აწარმოეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 4 მილიონ 400 ათასი ტონა ნედლი ბამბა. ჩვენს ქვეყანას წინათ არასოდეს არ დაუმზადებია ამდენი ბამბა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში. ცნობილია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1955 წელი) პლენუმის მიერ დასახული ამოცანები, რომ გაგვედიდებინა 1960 წელს კოლმეურნეობებში ძროხის წველადობა 1.700 კილოგრამამდე და რძის დამზადება — 1,8-ჯერ, გადაჭარბებით შესრულებულ იქნა უკვე 1957 წელს, ესე იგი სამ წელიწადში ექვსი წლის ნაცვლად, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება 1958 წელს 1953 წელთან შედარებით გადიდდა: რძისა — ერთიორად და მეტად, ხორცისა — 56 პროცენტით, მატყლისა — 60 პროცენტით. საზოგადოებრივი წარმოების ზრდისა და დამზადების ფასების სისტემის მოწესრიგების ბაზაზე მნიშვნელოვნად გადიდდა კოლმეურნეობათა შემოსავალი.

საბჭოთა კავშირს ამჟამად აქვს მძლავრი, ყოველმხრივ განვითარებული მრეწველობა, ტრანსპორტი, დიდად მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობა. განუწყვეტლივ იზრდება ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი სიმდიდრე და ეროვნული შემოსავალი. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 15-ჯერ გადიდდა.

სოციალისტური ეკონომიკის საერთო აღმავლობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე განუხრელად უმჯობესდება საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. მუშათა და მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი 1958 წელს 1940 წელთან შედარებით გადიდდა თითქმის ერთიორად, ხოლო გლეხთა რეალური შემოსავალი ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით გადიდდა ერთიორად და უფრო მეტად. ყოველ წელს სულ უფრო მეტი სახსრები იხარჯება მშრომელთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ფართოდ ცნობილია საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობის დიდი ღონისძიებანი, რომლებიც განახორციელეს პარტიამ და მთავრობამ უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით ჩვენი პარტიის XX ყრილობის შემდეგ.

ამხანაგებო! ჩვენს ქვეყანაში მიღწეულია ყველა ერისა და ეროვნების კულტურის უმაგალითო აყვავება. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხვი სახალხო მეურნეობაში ახლა შეადგენს დაახლოებით შვიდნახევარ მილიონ კაცს, ესე იგი 39-ჯერ მეტს, ვიდრე 1913 წელს. საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს დაახლოებით ოთხჯერ მეტი სტუდენტი, ვიდრე ინგლისში, საფრანგეთში, დასავლეთ გერმანიასა და იტალიაში ერთად. ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლები უშვებენ თითქმის სამჯერ მეტ ინჟინერს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასწავლებლები. მაღლდება საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის როლი მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

საბჭოთა კავშირში შექმნილია უსაზღვრო შესაძლებლობანი მეცნიერებისა და ტექნიკის შემოქმედებითი განვითარებისათვის, ახალი აღმოჩენებისა და გამოგონებებისათვის. 1950-1958 წლებში სახალხო მეურნეობაში დაინერგა ათ მილიონამდე გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რომლებიც ხელს უწყობენ ტექნიკის განვითარებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და მილიონობით მშრომელის შრომის პირობების გაუმჯობესებას. უკანასკნელ სამ წელიწადში ეკონომიამ, რომელიც მიღებულია ამ წინადადების წარმოებაში დანერგვის შედეგად, დაახლოებით 24 მილიარდი მანეთი შეადგინა.

საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს დიდი დამსახურება მიუძღვით ჩვენი სამშობლოს წინაშე. მათ ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეში. მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია საბჭოთა მეცნიერების წარმატებანი ატომგულის ფიზიკისა და ატომური ენერგეტიკის, რეაქტიული ავიაციისა და რაკეტული ტექნიკის დარგში. სერიოზული მიღწევებია თერმოატომგულის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების პრობლემის გადაჭრაში. საბჭოთა კავშირში მოეწყო საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების სერიული წარმოება.

ჩვენი მეცნიერების, მთელი ხალხის თვალსაჩინო გამარჯვება და საბჭოთა კავშირის განვითარების მაღალი ინდუსტრიულ-ტექნიკური დონის მკაფიო მაჩვენებელია დედამიწის მსოფლიოში პირველ ხელოვნურ თანამგზავრთა წარმატებით გაშვება 1957 წელს. მთელმა მსოფლიომ აღტაცებით აღნიშნა ეს გამარჯვება, რომლითაც დაიწყო ახალი ერა ადამიანის მიერ ბუნების დამორჩილების ისტორიაში — კოსმოსური სივრცის ათვისების ერა. ამ გამარჯვების ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან მთელ მსოფლიოს დაანახვა სოციალისტური წყობილების მძლავრი შემოქმედებითი ძალა.

ახალი, 1959 წლის — შვიდწლედის პირველი წლის — პირველ დღეებში საბჭოთა მეცნიერებმა, კონსტრუქტორებმა, ინჟინრებმა და მუშებმა მოახდინეს მსოფლიო მნიშვნელობის ახალი გმირობა, განახორციელეს მრავალსაფეხურიანი კოსმოსური რაკეტის წარმატებით გაშვება მთვარისაკენ. საბჭოთა ადამიანები გამსჭვალული არიან პატრიოტული სიამაყის გრძნობით თავიანთი საყვარელი სამშობლოსათვის, რომელიც სათავეში უდგას თანამედროვეობის მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს და კვალავს მომავლის გზას. ჩვენთან ერთად დიდი მეცნიერული გმირობა ახარებს მთელ პროგრესულ კაცობრიობას. ახლა სოციალიზმის მტრებიც კი უცილობელი ფაქტების წინაშე იძულებული არიან აღიარონ ეს კოსმოსური საუკუნის უდიდეს მიღწევად, საბჭოთა კავშირის ახალ ტრიუმფად.

ჩვენს ქვეყანაში დედამიწის პირველ ხელოვნურ თანამგზავრთა შექმნა, საბჭოთა კოსმოსური რაკეტის გაშვება, რომელიც მზის სისტემის პირველი ხელოვნური პლანეტა გახდა, მთელი ეპოქაა კაცობრიობის მეცნიერული ცოდნის განვითარებაში. ეს კომუნიზმის აშენების ეპოქის დიდებული მოვლენაა.

და როგორ არ გვიხაროდეს ასეთი წარმატებანი ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, **მსოფლიოში დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი საბჭოთა თანამგზავრი იყო; მზის სისტემის პირველი ხელოვნური პლანეტა საბჭოთა პლანეტაა.** სამყაროს თვალუწვდენ სივრცეებში მას ამაყად მიაქვს ალამი, რომელზეც გამოსახულია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო გერბი და აქვს წარწერა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. 1959 წლის იანვარი“.

ამხანაგო დელეგატებო! ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი დიდად აფასებენ იმ ღირსშესანიშნავ ფაქტს, რომ მრავალსაფეხურიანი კოსმოსური რაკეტის გაშვება მთვარისაკენ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროების, ქარხნებისა და საცდელი ორგანიზაციების კოლექტივებმა მიუძღვნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას. ნება მიბოძეთ ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან თქვენი სახელით, მთელი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მივუღოცო საპლანეტთაშორისო ფრენისათვის ახალი რაკეტის შემქმნელთ დიადი გამარჯვება, დიდი მადლობა ვუძღვნა მათ და სულით და გულით ვუსურვო მათ ჯანმრთელობა, ახალი შემოქმედებითი წარმატებანი საბჭოთა სამშობლოს სადიდებლად, კომუნიზმის გამარჯვებისათვის!

უდიდესია ჩვენი წარმატებანი სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარების დარგში, მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. ეს წარმატებანი მიღწეულია იმის მეოხებით, რომ კომუნიზმის მშენებლობა მთელი ხალხის, ყოველი შეგნებული საბჭოთა ადამიანის ღვიძლი საქმე გახდა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებმა, რომლებიც უკანასკნელ წლებში განხორციელდა და რომლებმაც უზრუნველყო ეკონომიკის ახალი აღმავლობა, გამოიწვია მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის შემდგომი ზრდა, კიდევ უფრო განამტკიცა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი — საბჭოთა სახელმწიფოს ურყევი საფუძველი. ამ ღონისძიებებმა გამოიწვია საბჭოთა კავშირის თავისუფალი, თანასწორუფლებიანი და დამოუკიდებელი ხალხების ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცება.

წლითიწლობით სულ უფრო მტკიცდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი— მშრომელთა მრავალეროვანი სახელმწიფო, სოციალისტური ერების ნებაყოფლობითი კავშირი. ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრულმა განხორციელებამ, ძმურმა ურთიერთდახმარებამ ის გამოიწვია, რომ წინათ ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილ ეროვნულ რესპუბლიკებს ახლა აქვთ მძლავრი თანამედროვე მრეწველობა, მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა, სასწავლებლების, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი, ჰყავთ მრავალრიცხოვანი კვალიფიციური კადრები. ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები, რაც მოწმობს საბჭოთა დემოკრატიის შემდგომ განვითარებას და საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო სწრაფად განვავითაროთ თვითეული რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა.

ამხანაგებო! თავის XXI ყრილობაზე კომუნისტური პარტია მოვიდა უმაგალითოდ მონოლითური და ერთიანი, შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე. საბჭოთა კავშირის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა არასოდეს არ ყოფილა ისე მტკიცე, როგორც ამჟამად არის. ეწევიან რა შემოქმედებითს შრომას, ჩვენი ქვეყნის ხალხები ბეჯითად და თანმიმდევრულად იბრძვიან მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ყველა ქვეყნებს შორის მეგობრული თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებისა და განვითარებისათვის. ეს ბრძოლა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის დიდ მოწონებასა და მხარდაჭერას პოულობს. საბჭოთა კავშირი, სოციალიზმის უძლეველი ბანაკი, რომელსაც ყველაფერი აქვს, რაც საჭიროა აგრესიის ძალების ასალგამავად, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების მძლავრი ბურჯია.

დიდია ჩვენი წარმატებები კომუნისტური მშენებლობის დარგში და ხალხთა შორის მშვიდობისათვის ბრძოლაში. მაგრამ ჩვენ გვახსოვს ვ. ი. ლენინის ანდერძი, რომ არასოდეს არ უნდა დავჯერდეთ მიღწეულს; საჭიროა ვიაროთ წინ, მოვიპოვოთ ახალი წარმატებანი, ახალი გამარჯვებანი.

II

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის მთავარი ამოცანები

ამხანაგებო! საბჭოთა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია ისეთ მწვერვალებს, ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში განახორციელა ისეთი გრანდიოზული გარდაქმნები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ ჩვენს ქვეყანას შევიდეს ახლა თავისი განვითარების ახალ უმნიშვნელოვანეს პერიოდში — **კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.**

ამ პერიოდის მთავარი ამოცანებია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სსრ კავშირის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცება და ამავე დროს ხალხის მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრულად დაკმაყოფილება. პრაქტიკულად უნდა გადაიჭრას ისტორიული ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. ამ ამოცანების შესრულებას ისეთი ვადები დასჭირდება, რომლებიც შვიდწლიანი გეგმის ფარგლებს სცილდება.

1957 წლის ნოემბერში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე, აღინიშნა საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალების განვითარების მთავარი მიმართულებანი 15 წლისათვის. შვიდწლიანი გეგმა ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ამ პერსპექტიული გეგმის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

როგორია ჩვენი მთავარი ამოცანები მომავალ შვიდწლედში?

ეკონომიურ დარგში — ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების ყოველმხრივი განვითარება, მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების ბაზაზე ეკონომიკის ყველა დარგში წარმოების ისეთი ზრდის მიღწევა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გადამწყვეტი ნაბიჯი გადავდგათ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში და იმ მხრივ, რომ უზრუნველვყოთ სსრ კავშირის გამარჯვება კაპიტალისტურ ქვეყნებთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის გაძლიერებამ, შემდგომმა ტექნიკურმა პროგრესმა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელმა ზრდამ უნდა უზრუნველყოს ხალხის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება.

პოლიტიკურ დარგში — საბჭოთა სოციალისტური წყობილების, საბჭოთა ხალხის ერთიანობისა და შეკავშირების შემდგომი განმტკიცება, საბჭოთა დემოკრატიის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში ხალხის ფართო მასების აქტივობისა და თვითმოქმედების განვითარება, სახელმწიფოებრივი საკითხების გადაჭრაში საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ფუნქციების გაფართოება, პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორული და აღმზრდელობითი როლის ამაღლება, მუშათა და გლეხთა კავშირის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება.

იდეოლოგიურ დარგში — პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება, მშრომელთა და უწინარეს ყოვლისა მოზარდი თაობის კომუნისტური შეგნებულობის ამაღლება, მათი აღზრდა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების დაძლევა, ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

საერთაშორისო ურთიერთობის დარგში — თანმიმდევრული განხორციელება საგარეო პოლიტიკისა, რომლის მიზანია მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების შენარჩუნება და განმტკიცება სხვადასხვა სოციალური სისტემების მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპის საფუძველზე. საჭიროა ვიბრძოლოთ „ცივი ომის“ შეწყვეტისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. ყოველი ღონისძიებით უნდა განვამტკიცოთ მსოფლიო სოციალისტური სისტემა და მომძე ხალხთა თანმეგობრობა.

მომავალი შვიდწლედის ძირეული პრობლემაა კაპიტალიზმთან სოციალიზმის მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში დროის მაქსიმალური მოგების პრობლემა.

სსრ კავშირის ეკონომიური მშენებლობის პროგრამა ახალი ძალით მოწმობს, რომ საბჭოთა ეკონომიკა მომავალ შვიდ წელიწადში, ისევე როგორც წინათ, განვითარდება მშვიდობიანი მიმართულებით. ჩვენ კვლავაც თანმიმდევრულად განვახორციელებთ მშვიდობის ლენინურ პოლიტიკას.

* * *

ამხანაგებო! ჩვენი პარტიის დიად სასიცოცხლო ძალასა და უძლეველობას წარმოადგენს პარტიის განუყრელი კავშირი მასებთან. კომუნისტური მშენებლობის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხები პარტიას უკანასკნელ წლებში სისტემატურად გამოჰქონდა მთელი ხალხის განსახილველად.

ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების თეზისების ფართო ყრილობისწინა განხილვა. თეზისების განხილვის მსვლელობაში მთელ ჩვენს ქვეყანაში გაიმართა 968 ათასზე მეტი კრება ქარხნებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, არმიისა და ფლოტის ნაწილებში, საბჭოთა დაწესებულებებში. ამ კრებებს დასწრო 70 მილიონზე მეტი კაცი. კრებებზე შენიშვნები, დამატებები და წინადადებები წამოაყენა 4 მილიონ 672 ათასმა ამხანაგმა. გარდა ამისა, ცენტრალურმა და ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, გაზეთების, ჟურნალების რედაქციებმა, რადიომ და ტელევიზიამ მშრომელებისაგან მიიღეს 650 ათასზე მეტი წერილი და სტატია, რომლებიც შეიცავენ წინადადებებსა და შენიშვნებს საკონტროლო ციფრების თეზისების სხვადასხვა ნაწილების შესახებ. მათგან გამოქვეყნდა 300 ათასზე მეტი წერილი და სტატია.

დიდი აქტივობითა და საქმიანად განიხილეს საკონტროლო ციფრები საოლქო და სამხარეო პარტიულ კონფერენციებზე, მოკავშირე რესპუბლიკათა კომუნისტური პარტიების ყრილობებზე.

მშრომელთა კრებებმა, პარტიულმა კონფერენციებმა და ყრილობებმა ცხადყვეს, რომ ჩვენმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად მოიწონეს საკონტროლო ციფრები და ენთუზიაზმით მიიღეს შვიდწლიანი გეგმა, როგორც ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამა. მშრომელებმა თავიანთ გამოსვლებში განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ შვიდწლიანი გეგმის დავალებანი. კარგი საბჭოური ტრადიციით პარტიის ყრილობისათვის მზადებასთან და საკონტროლო ციფრების საყოველთაო-სახალხო განხილვასთან ერთად ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, ვადამდე შესრულდა სახელმწიფო გეგმები და დავალებები.

ჩემს მოხსენებაში შესაძლებლობა არა მაქვს დაწვრილებით განვიხილო წინადადებანი, რომლებიც ესლდენ ბევრი გამოითქვა თეზისების განხილვის მსვლელობაში. ყველა ეს წინადადება გამოხატავს საბჭოთა ადამიანების ზრუნვას იმისათვის, რომ ჩვენმა სამშობლომ კვლავაც წარმატებით განავითაროს თავისი ეკონომიკა და კულტურა, რომ ჩვენი ხალხის ცხოვრება დღითიდღე უმჯობესდებოდეს.

ბევრ წინადადებაში აღძრულია ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების დიდი პრობლემები. ეს წინადადებები ეხება საწარმოო ძალების განლაგების, სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში კაპიტალდაბანდებათა უფრო მიზანშეწონილი გამოყენების საკითხებს და სხვა საკითხებს. ამ წინადადებებიდან უმნიშვნელოვანესი წინადადებანი ფართოდ განიხილეს პარტიულმა კონფერენციებმა და ყრილობებმა, ცხენ რა ისინი სერიოზული ყურადღების ღირსად. ეს წინადადებები გათვალისწინებულია რესპუბლიკებისა და ოლქების სახალხო-სამეურნეო გეგმებით. ხოლო მათი ნაწილი აისახება ჩვენი ქვეყნის შვიდწლიან გეგმაში.

შევეხები თეზისების განხილვის მსვლელობაში გამოთქმულ ზოგიერთ წინადადებას.

კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის მუდმივად მოქმედმა საწარმოო თათბირმა, განიხილა რა მომავალ შვიდწლედში თავისი საწარმოს განვითარების პერსპექტივების საკითხი, სერიოზული შენიშვნები გამოთქვა კომბინატის განვითარების გეგმის მონახაზთა შესახებ.

დასახული იყო შვიდწლედის მანძილზე მეტალურგიულ კომბინატში ფოლადის წარმოება გაეიდიდებინათ 17 პროცენტით, ნაგლინის წარმოების სიმძლავრეთა განვითარება კი, რაც გათვალისწინებული იყო გეგმის პროექტით, იმის შესაძლებლობას ქმნიდა, რომ ფოლადის წარმოება დაახლოებით 42 პროცენტით გადიდებულიყო. ამრიგად, გეგმის პროექტშივე იყო შეუსაბამობა ფოლადსადნობი და საგლინავი წარმოების სიმძლავრეთა ზრდას შორის.

საწარმოო თათბირმა დასახა წინადადება კუზნეცკის კომბინატის განვითარების გეგმაში შეიტანონ კონვერტერის საამქროს მშენებლობა, რაც შესაძლებელს გახდის მთლიანად გამოიყენონ საგლინავი წარმოების სიმძლავრენი და დამატებით მიიღონ წელიწადში ასეულ ათასობით ტონა ფოლადი და ნაგლინი. აღნიშნული საამქროს მშენებლობა დაახლოებით სამჯერ უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე ასეთივე სიმძლავრის მარტენის საამქროს მშენებლობა. და შეიძლება განხორციელდეს უფრო მოკლე ვადებში.

ეს წინადადება, რომელსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, განიხილა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და მიღებულ იქნა. გათვალისწინებულია კუზნეცკის მეტალურგიულ კომბინატში აშენდეს 1 მილიონ 200 ათასი ტონა წლიური სიმძლავრის კონვერტერის საამქრო და ქანგბადის დიდი სადგური. ამასთან დაკავშირებით კომბინატში ფოლადის წარმოება შვიდ წელიწადში 48 პროცენტით გადიდდება ნაცვლად 17 პროცენტისა მატებისა, რაც წინათ იყო გათვალისწინებული.

კრასნოიარსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ლომაკომ, პარტიის კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის მდივანმა ამხ. კოკარევმა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალების

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

შემსწავლელი საბჭოს კრასნოიარსკის კომპლექსური ექსპედიციის უფროსმა ამხ. ზუბკოვმა შემოიტანეს წინადადება ავითვისოთ მიმდინარე შვიდ წელიწადში ანგარა-პიტის რკინის მადნის აუზი, სადაც დიდი გეოლოგიური მარაგი მოიპოვება. ამ აუზის რკინის მადნებს აქვთ ხელსაყრელი განლაგება, რაც საშუალებას გვაძლევს მათი დამუშავება ვაწარმოოთ ყველაზე ეკონომიური, ღია წესით. ეს ნაკლებ კაპიტალურ დანახარჯებს მოითხოვს სხვა საბადოების მადნებთან შედარებით. ერთი ტონა ნედლი მადნის ღირებულება, მათი გამოანგარიშებით, უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე ღირებულება ხაკასეთის, კემეროვოს ოლქისა და ალტაის მხარის მადნებისა, რომლებიც განკუთვნილია დასავლეთ ციმბირის მშენებლობის პროცესში მყოფი მეტალურგიული ქარხნისათვის, ხოლო ანგარა-პიტის მადნებიდან გამოდნობილი თუჯი ყველაზე იაფი იქნება ჩვენს ქვეყანაში.

კრასნოიარსკელი ამხანაგების წინადადება მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დავალებული აქვს დაწვრილებით შეისწავლოს, რამდენად მიზანშეწონილია კრასნოიარსკის მხარის რკინის მადნის საბადოების ათვისების ვადების მოახლოება, და მოახსენოს მთავრობას.

ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. კუნაევმა და მთელმა რიგმა სხვა ამხანაგებმა ამ რესპუბლიკიდან წამოაყენეს წინადადება გადაეჭრათ ცენტრალური ყაზახეთის წყალმომარაგების პრობლემა 450 კილომეტრი სიგრძის ირტიშ-ყარაგანდის არხის მშენებლობის გზით. ეს საკითხი სერიოზული ყურადღების ღირსია, და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ყაზახეთის მინისტრთა საბჭოსთან ერთად ყურადღებით უნდა გაეცნოს მას, გამოიანგარიშოს ამ ნაგებობის ეკონომიკა და წარმოადგინოს თავისი მოსაზრებანი.

საინტერესო საკითხი აღძრა პროფესორმა ვ. უვაროვმა სტატიაში, რომელიც „პრავდაში“ გამოქვეყნდა. მოჰყავს რა მონაცემები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში გაზის ტურბინების გამოყენების მაღალი ეფექტიანობის შესახებ, იგი აყენებს წინადადებას, რომ საჭირო დაჩქარდეს დიდი თბოელექტროსადგურებისათვის მძლავრი გაზის ტურბინებისა და რკინიგზის ტრანსპორტის, გაზსადენებისა და სხვა დანიშნულებისათვის გაზტურბინიანი დანადგარების დაპროექტება და მოეწყოს მათი წარმოება.

ბევრი მეტად საინტერესო საკითხი, რომლებიც აღძრულია თეზისების განხილვის მსვლელობაში, ეხება მანქანათმშენებლობას, მეტალურგიულ წარმოებას, სათბობის, ქიმიურ, მსუბუქ და კვების მრეწველობას, მიწათმოქმედებას, მეცხოველეობას და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სხვა ცენტრალური ორგანოები მოვალენი არიან ღრმად შეისწავლონ ყველა ეს წინადადება, განსაზღვრონ მათი ეკონომიური ეფექტიანობა, გაითვალისწინონ ყოველივე ძვირფასი და გამოიყენონ შვიდწლიანი გეგმის საბოლოო შემუშავების დროს.

წინადადებათა მეორე ჯგუფი შეეხება ადგილობრივი ხასიათის საკითხებს. ეს წინადადებანი შეუძლიათ განახორციელონ და უნდა განახორციელონ ადგილობრივმა ორგანოებმა. მშრომელებმა გამოთქვეს ბევრი მოსაზრება საწარმოებში წარმოების ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის, ტექნიკის გამოყენების, ნედლეულის უფრო ეკონომიური ხარჯვის შესახებ და გააკრიტიკეს ნაკლოვანებანი, წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია გაუმჯობესდეს საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობა.

გამოითქვა ძალიან ბევრი ძვირფასი წინადადება. ადგილობრივი ორგანოების ამოცანაა გულდასმით შეისწავლონ ეს წინადადებანი და დასახონ გზები ყოველივე იმის უსწრაფესად განხორციელებისათვის, რაც ამ წინადადებებში რაციონალურია.

მესამე ჯგუფია წინადადებანი ახალი, საკონტროლო ციფრებით გაუთვალისწინებელი შახტების, ქარხნების, ფაბრიკების, მაღაროებისა და სხვა საწარმოების მშენებლობის შესახებ. პრინციპულად ასეთ წინადადებათა დიდი უმრავლესობა სწორია, მაგრამ ასეთი წინადადებები მომავალ შვიდ წელიწადში ვერ განხორციელდება, რამდენადაც ამისათვის დამატებით საჭიროა მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებანი. მაგრამ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიები, სახალხო მეურნეობის საბჭოები, ადგილობრივი ორგანოები მოვალენი არიან განიხილონ ყველა ეს წინადადება და მხედველობაში მიიღონ ისინი იმ პერსპექტიული გეგმის შედგენის დროს, რომელიც შვიდწლედის ფარგლებს სცილდება.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით დიდი კმაყოფილება გამოვთქვა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვის მსვლელობის გამო და მადლობა ვუძღვნა ყველა ამხანაგს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ყრილობის წინა განხილვაში. ამ განხილვამ უმდიდრესი მასალა მოგვცა იმისათვის, რომ დავაზუსტოთ შვიდწლიანი გეგმის მთელი რიგი დაპროექტებანი და შევიმუშაოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების შემდგომი პერსპექტიული გეგმები.

სოციალისტური მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარების საკითხები

ამხანაგებო! საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია წარმოების განვითარების მაღალი ტემპები და დიდი აბსოლუტური მატება მრეწველობის ყველა დარგში, განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიაში.

აი ხედავთ, როგორც კი შევეხეთ მძიმე ინდუსტრიას, მაშინვე აკაშკაშდა მზე. ეს სიმბოლურია: თითქოს ბუნებაც მიესალმება ჩვენს წარმატებებს. მზე გზას უნათებს ჩვენს შვიდწლედს. დაე დაამწყმონ ეს აქ დამსწრე უცხოელმა ჟურნალისტებმა.

დასახულია მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 1965 წელს 1958 წელთან შედარებით გადიდდეს დაახლოებით 80 პროცენტით, აქედან „ა“ ჯგუფისა (წარმოების საშუალებათა წარმოება) — 85-88 პროცენტით და „ბ“ ჯგუფისა (მოხმარების საგნების წარმოება) — 62-65 პროცენტით. ეს ძალიან დიდი ზრდაა. სამრეწველო პროდუქციის მოცულობის გადიდება შვიდწლედის განმავლობაში გაუთანაბრდება პროდუქციის მატებას უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში.

თეზისებში მოყვანილია შვიდწლიანი გეგმის დაწვრილებითი ციფრები. ნება მიბოძეთ შევეხო მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარების მხოლოდ ძირითად მიმართულებებს და მის თვისებრივ ცვლილებებს.

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას **შავი და ფერადი მეტალურგიის** განვითარების შესახებ. თუჯის წარმოება ათვალისწინებულია აყვანილ იქნას 1965 წელს 65-70 მილიონ ტონამდე, ფოლადისა — 86-91 მილიონ ტონამდე, ნაგლინისა — 65-70 მილიონ ტონამდე. რამდენჯერმე გადიდდება ფერადი და იშვიათი ლითონების გამოშვება.

შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოთა მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის გათვალისწინებულია დაიხარჯოს მეტი სახსრები, ვიდრე დაიხარჯა განვლილ 30 წელიწადში. ამასთან შავ მეტალურგიაში კაპიტალურ დაბანდებათა 67 პროცენტი და ფერად მეტალურგიაში დაახლოებით 60 პროცენტი მოხმარდება იმ მოქმედ საწარმოთა გაფართოებასა და რეკონსტრუქციას, რომლებმაც უნდა მოგვცენ თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის დაგეგმილი მატების სამ მეოთხედზე მეტი. მარტო მაგნიტოგორსკის კომბინატი გაადიდებს ნაგლინის გამოშვებას შვიდწლედის დამლევისათვის 5,2 მილიონი ტონიდან 8,5 მილიონ ტონამდე წელიწადში.

სახსრების ასეთი გამოყენება მეტად ხელსაყრელია. თუ ერთ ტონა თუჯზე კაპიტალდაბანდება, მაგალითად, კარაგანდის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის დროს შეადგენს 2.347 მანეთს, მაგნიტოგორსკის კომბინატის გაფართოების დროს შეადგენს 1.947 მანეთს. ათვალისწინებულია ახალ და სარეკონსტრუქციო მეტალურგიულ საწარმოებში მნიშვნელოვნად გადიდდეს აგრეგატთა ერთეული სიმძლავრეები. აშენდება მსოფლიოში უდიდესი 2.000 და 2.286 კუბური მეტრი მოცულობის ბრძმედები, 500 და მეტი ტონა ტევადობის მარტენის ღუმელები, 80 და 180 ტონა ტევადობის ელექტროღუმელები, წელიწადში სამი-ოთხი მილიონი ტონა წარმადობის უწყვეტი ავტომატიზებული საგლინავი აგრეგატები და სხვა აგრეგატები.

მომავალ შვიდწლედში დასახულია ფართოდ გამოყენებულ იქნას ახალი დიდად ეფექტიანი ტექნოლოგიური პროცესები. მაგალითად, განზრახულია ახალ რეიმზე გადაიყვანონ ბუნებრივი გაზისა და ჟანგბადის გამოყენებასთან ერთად 50-ზე მეტი ბრძმედი, ბევრი მარტენისა და სახურებელი ღუმელი. მნიშვნელოვანი ოდენობით განხორციელდება ჟანგბადის გამოყენება ნოკეის, სპილენძისა და ტყვია-თუთიის მრეწველობაში. ამ გზით შეიძლება გადიდდეს ბრძმედების წარმადობა 8-10 პროცენტით, მარტენის ღუმელებისა — 20-30 პროცენტით. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის დასახულია მოეწყოს ვაკუუმის ფართოდ გამოყენება მეტალურგიულ პროცესებში, ფოლადის ნაგლინის თერმული დამუშავება და სხვა მეთოდები.

სახალხო მეურნეობის ზრდის მაღალი ტემპები გამოიწვევს მეტალურგიული წარმოების სტრუქტურის შეცვლას. ენერგეტიკის, ქიმიური, ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო იქნება ფოლადის მილების გამოშვების გადიდება. ამასთან დაკავშირებით მაშინ როცა შვიდწლედის მანძილზე ნაგლინის წარმოების საერთო ზრდა იქნება 53-63 პროცენტი, მილების გამოშვება ერთიორად და მეტად გადიდდება, მნიშვნელოვნად გაფართოვდება ფურცლოვანი ფოლადის წარმოება.

მანქანათმშენებლობის ტექნიკური დონის ამაღლების, ავტომატიკის განვითარებისა და სპეციალური ფოლადებისა და შენადნობთა წარმოების შესაბამისი გადიდების მიზნით გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ელექტრომეტალურგია, ფეროშენადნობთა მრეწველობა და ზოგიერთი ფერადი და იშვიათი ლითონების წარმოება, უფრო ხარისხიანი ყოლისა მადნების კომპლექსური გადამუშავების გზით.

ამ უკანასკნელ წლებში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ალუმინს, როგორც ლითონს, რომელსაც მრავალმხრივ იყენებენ მრეწველობასა და მშენებლობაში. ამიტომ ალუმინის წარმოება შვიდი წლის განმავლობაში გათვალისწინებულია გადიდდეს 2,8-ჯერ. ასეთი ზრდისათვის ჩვენ საკმაო ენერგეტიკული და ნედლეულის ბაზა გვაქვს. დასახულია აგრეთვე თითქმის ერთიორად გავადიდოთ სპილენძის წარმოება.

მეტალურგიული წარმოების ზრდის უმნიშვნელოვანესი პირობაა სამთამადნო ბაზის დაჩქარებული განვითარება. გათვალისწინებულია რკინის მადნის მოპოვების გადიდება დაახლოებით ერთიორად, რაც საშუალებას მისცემს ჩვენს ქვეყანას რკინის მადნის მოპოვების მხრივ პირველ ადგილზე გამოვიდეს მსოფლიოში. დასახულია გავადიდოთ რკინის შემცველობა სასაქონლო მადნებში მძლავრი სამთო-გამამდიდრებელი კომბინატების მშენებლობისა და მადნების გამდიდრების და გამოწვის უფრო სრულყოფილი მეთოდების გამოყენების გზით. გათვალისწინებულია ავითვისოთ რკინის მადნის ახალი საბადოები, უმთავრესად ღია წესით, კერძოდ, ყაზახეთში და კურსკის მაგნიტური ანომალიის რაიონში.

მომავალ შვიდ წელიწადში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **ქიმიურ მრეწველობას.** როგორც ცნობილია, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის (1958 წელი) პლენუმმა შეიმუშავა მძიმე ინდუსტრიის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის დაჩქარებული განვითარების ფართო პროგრამა. ქიმიური მრეწველობის განვითარება საშუალებას გვაძლევს ყველაზე ეფექტიანად გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრენი და წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შემდგომი ტექნიკური პროგრესის აუცილებელ პირობას. მანქანათმშენებლობაში, მშენებლობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში ფართოდ იქნება გამოყენებული პლასტიკური მასები და სხვა სინთეზური მასალები.

ქიმიური მრეწველობა მოგვცემს იაფ და მაღალხარისხოვან ნედლეულს სახალხო მოხმარების საქონლის გამოსაშვებად, შექმნის გაცილებით უფრო ნაკლები შრომის დახარჯვით თვისებრივად ახალ მასალებს, რომლებიც თავიანთი თვისებებით ბუნებრივ მასალებზე უკეთესი იქნება.

ქიმიური პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობა შვიდი წლის განმავლობაში უნდა გადიდდეს თითქმის სამჯერ, აქედან ხელოვნური ბოჭკოს წარმოება — თითქმის ოთხჯერ, პლასტიკური მასების და ფისისა — შვიდჯერ და მეტად.

ცალკე უნდა შევეხო მინერალური სასუქების წარმოებას. დასახულია მათი გამომუშავება გადიდდეს 1965 წელს 35 მილიონ ტონამდე 1958 წლის 12 მილიონი ტონის ნაცვლად, რაც მეტად საჭიროა იმისათვის, რომ წარმატებით გადავჭრათ უმნიშვნელოვანესი ამოცანა — გავადიდოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა.

ქიმიური მრეწველობა განვითარდება სულ სხვა საფუძველზე, ვიდრე დღემდე ვითარდებოდა, გამოყენებულ იქნება ყველაზე იაფი ნედლეული—ბუნებრივი გაზი და ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების გაზები — გამოყენებულ იქნება თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესები და მაღალი წარმადობის მოწყობილობა. ეს შესაძლებელს გახდის მკვეთრად შემცირდეს ქიმიურ საწარმოთა მშენებლობის დანახარჯები და შემცირდეს პროდუქციის თვითღირებულება.

სათბობის მრეწველობის დარგში აღებულია ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და გადამუშავების უპირატესი განვითარების მტკიცე კურსი. ნავთობის მოპოვება 1965 წელს გადიდდება 230-240 მილიონ ტონამდე, ანუ ერთიორად და უფრო მეტად, გაზის მოპოვება და წარმოება გადიდდება დაახლოებით ხუთჯერ და მიაღწევს 150 მილიარდ კუბურ მეტრს წელიწადში. ნავთობისა და გაზის ხვედრითი წონა სადბობის საერთო წარმოებაში ამასთან გადიდდება 31 პროცენტიდან 51 პროცენტამდე, ხოლო ქვანახშირისა შესაბამისად შემცირდება 60 პროცენტიდან 43 პროცენტამდე.

ასეთი მიმართულება სათბობის მრეწველობის განვითარებაში დიდ ეკონომიურ სარგებლობას მოგვცემს. მაგალითად, იმისათვის, რომ უზრუნველყოთ ურალის მოთხოვნილება სათბობზე, გათვალისწინებულია გაზსადენების გაყვანა უზბეკეთის სს რესპუბლიკიდან, კომის ასს რესპუბლიკიდან და ვოლგისპირეთის რაიონებიდან. გაზის მოხმარება ურალში შვიდწლედის დამლევისათვის გადიდდება 25-27 მილიარდ კუბურ მეტრამდე წელიწადში. ამასთან დაკავშირებით ურალის მოთხოვნილება შორიდან შეზიდულ ენერგეტიკულ ქვანახშირზე შემცირდება ერთიორად და მეტად. ურალის მრეწველობაში გაზის გამოყენება 1965 წელს მოგვცემს დაახლოებით 1,4 მილიარდ მანეთ ეკონომიას. მოვიყვან სხვა მაგალითს. მოსკოვი ახლა წელიწადში ხარჯავს ოთხ მილიარდ კუბურ მეტრ გაზს და დაახლოებით ექვს მილიონ ტონა ქვანახშირს. შვიდწლედის დამლევისათვის გაზის მიწოდება დედაქალაქში გადიდდება 13-ზე მეტ მილიარდ კუბურ მეტრამდე, ხოლო ქვანახშირის მოხმარება შემცირდება 700 ათას ტონამდე წელიწადში, რაც მოგვცემს შვიდ წელიწადში დაახლოებით 5 მილიარდ მანეთ ეკონომიას.

ბუნებრივი გაზითა და ნავთობის სათბობით ქვანახშირის შეცვლით მიღებული საერთო ეკონომია შვიდწლედში იქნება 125 მილიარდ მანეთზე მეტი, ეს იგი იმდენი, რამდენიც გამოყოფილია ყველა ელექტროსადგურის, ელექტროქსელებისა და თბოქსელების მშენებლობისათვის.

ნავთობისა და გაზის მრეწველობაში დიდი მუშაობა მოგველის ახალი საბადოების ასათვისებლად, ნავთობისა და გაზის მაგისტრალური მილსადენების, ნავთობგადასამუშავებელი და გაზ-ბენზინის ქარხნების ასაშენებლად.

განვავითარებთ რა ნავთობისა და გაზის მრეწველობას, როდი უნდა შევანელოთ ყურადღება ქვანახშირის მრეწველობისადმი. თუმცა ქვანახშირის მოპოვების ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად უფრო დაბალი იქნება, ვიდრე წინა შვიდწლედში, მაგრამ ქვანახშირის მოპოვება მაინც გადიდდება 21-23 პროცენტით. ძირითადად დონბასის, კუზბასისა და ყარაგანდის ქვანახშირის აუზის კოქსვადი ქვანახშირის, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების იაფი ენერგეტიკული ქვანახშირის ხარჯზე.

ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა წინაშე მწვავედ დგას საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა გადიდდეს შრომის ნაყოფიერება და შემცირდეს ქვანახშირის თვითღირებულება. ყურადღება უნდა მივაქციოთ ქვანახშირის მოპოვების ღია და ჰიდრავლიკური წესების შემდგომ განვითარებას, შახტების რეკონსტრუქციას, განსაკუთრებით დონბასში.

ჩვენს პარტიას მუდამ თავის უპირველეს ამოცანად მიაჩნდა უზრუნველეყო მაღალი ტემპები **სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციისა,** რომელიც, როგორც ცნობილია, მთელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ტექნიკური აღჭურვილობის ამაღლების საფუძველია. ახლა ჩვენ შევდივართ ჩვენი ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის შესახებ დიდი ლენინის იდეის განხორციელების გადამწყვეტ სტადიაში. ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება შვიდი წლის დამლევს უნდა გადიდდეს 500-520 მილიარდ კილოვატ-საათამდე, ხოლო ელექტროსადგურების დაწესებული სიმძლავრე — ერთიორად და მეტად. როცა სამრეწველო წარმოება 1,8-ჯერ გადიდდება, მრეწველობის მიერ ელექტროენერგიის მოხმარება გადიდდება 2,2-ჯერ, ხოლო ამასთან მრეწველობის მუშათა ელექტროაღჭურვილობა გაიზრდება თითქმის ერთიორად.

რა გზით ვითვალისწინებთ ენერგეტიკის განვითარებას, რათა სახსრების უმცირესი დახარჯვით მოკლე ვადებში შევასრულოთ ელექტროფიკაციის პროგრამა?

ელექტროსადგურების მშენებლობის დროს ამა თუ იმ სახეობის ენერგეტიკული რესურსების არჩევა უნდა ემყარებოდეს ტექნიკურ-ეკონომიურ გაანგარიშებას, რომელიც გაითვალისწინებს მოცემული რაიონის კონკრეტულ საწარმოო და სატრანსპორტო პირობებს, ამ მშენებლობის ღირებულებასა და ვადებს, სიმძლავრის ერთეულზე კაპიტალური დანახარჯების ეკონომიას, სადგურების ექსპლოატაციის ეკონომიას.

დროის მოგებისა და კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანად გამოყენების მიზნით შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ბუნებრივი გაზით, მაზუთითა და იაფი ქვანახშირით მომუშავე თბოელექტროსადგურების უპირატესი მშენებლობა. რომ შევინარჩუნოთ წინა წლებში შექმნილი თანაფარდობა თბოელექტროსადგურებსა და ჰიდროელექტროსადგურებში კაპიტალურ დაბანდებათა შორის, საჭირო იქნება ან შევამციროთ სიმძლავრეთა დასახული ამუშავება, ან გავადიდოთ კაპიტალური დაბანდებანი ენერგეტიკის განვითარებისათვის 20 მილიარდი მანეთით და მეტით.

თბოელექტროსადგურების ამუშავებასთან ერთად გათვალისწინებულია აშენდეს ჰიდროელექტროსადგურები: ბრატსკისა — 3 მილიონ 600 ათასი კილოვატი სიმძლავრის, სტალინგრადისა — 2 მილიონ 530 ათასი კილოვატის, კრასნოიარსკისა — 4 მილიონ 200 ათასი კილოვატის, კრემენჩუგისა — 625 ათასი კილოვატის, ბუხტარმისა — 525 ათასი კილოვატის, ვოტკინსკისა — 1 მილიონი კილოვატი სიმძლავრისა და მთელი რიგი სხვა ჰიდროელექტროსადგურები.

მძლავრი ელექტროსადგურების შექმნა საჭიროს ხდის ელექტროქსელების განვითარებას. იმ მიზნით, რომ შეუფერხებლად მოვამარაგოთ ელექტროენერგიით ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონი და რაციონალურად გამოვიყენოთ ენერგეტიკული სიმძლავრეები, შვიდწლიანი გეგმით დასახულია ელექტროსადგურების შემდგომი გაერთიანება დიდ ენერგოსისტემებად საბჭოთა კავშირის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის შექმნის მიმართულებით. მწყობრში ჩადგება სხვადასხვა ტიპის რეაქტორების მქონე მთელი რიგი ატომური ელექტროსადგურები.

ვლაპარაკობთ რა მრეწველობის ძირითადი დარგების განვითარებისა და სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციის პერსპექტივებზე, საჭიროა შევეხოთ **მანქანათმშენებლობას,** რომელიც, ისევე როგორც წინათ, სწრაფი ტემპებით განვითარდება.

შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს მანქანათმშენებლობის ყველა თანამედროვე დარგის, და უწინარეს ყოვლისა მძიმე მანქანათმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიკისა და ელექტრონიკის საშუალებათა წარმოების დაჩქარებულ განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უახლესი მანქანების შექმნასა და წარმოებას, ამასთან გამოყენებულ იქნება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და აღმოჩენები, განსაკუთრებით რადიოელექტრონიკა, ნახევარგამტარები, ულტრაბგერა, რადიაქტიური იზოტოპები.

მეტალურგიისათვის გაკეთდება და ამუშავდება 50-ზე მეტი მძლავრი, მაღალი წარმადობის საგლინავი დგანი, რომლებიც იქმნება გლინვის პროცესებზე უწყვეტობისა და საგლინავი წარმოების ავტომატიზაციის პრინციპების ფართოდ გამოყენების საფუძველზე. ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა უახლესი ქიმიური მოწყობილობის ფართო ნომენკლატურის შექმნა.

მანქანათმშენებლობის წინაშე მდგომი უდიდესი ამოცანები რომ წარმატებით გადავწყვიტოთ, საჭიროა უახლეს ხაში ხელახლა აღვჭურვოთ ყველა მისი დარგის საწარმოები მოძველებული ჩარხების, სამჭედლო-საწნეხი, სამსხმელო მანქანების შეცვლისა და მოდერნიზაციის გზით. ჩარხმშენებლებმა მკვეთრად უნდა გაადიდონ უახლეს სახეობათა სპეციალური და აგრეგატული ჩარხების, ავტომატური პროგრამული მართვის მქონე ჩარხების, სტვიფრავი და საკვერავი წნეხების, საქედი მანქანების, სამჭედლო-საწნეხი ავტომატების, ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზების წარმოება.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ელექტროტექნიკური მრეწველობის, როგორც ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის უმნიშვნელოვანესი ტექნიკური ბაზის, შემდგომ განვითარებას. საჭიროა ამაღლდეს ელექტრომანქანების, კაბელის ნაკეთობათა და ელექტროსაიზოლაციო მასალების ტექნიკური დონე და ხარისხი და მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რათა დაჩქარდეს სიმძლავრეთა ზრდა ელექტროტექნიკურ მრეწველობაში.

როგორც აღნიშნულია თეზისებში, შემდგომ განვითარდება **სატყეო, ქაღალდისა და ხის დასამუშავებელი მრეწველობა.**

მძიმე ინდუსტრიის განვითარების მაღალი დონე და სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა განხორციელება მნიშვნელოვნად გაადიდებს **სასურსათო და სამრეწველო საქონლის წარმოებას.**

შვიდწლედის განმავლობაში მსუბუქი მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზრდება დაახლოებით ერთნახევარჯერ, კვების მრეწველობისა — 1,7-ჯერ. ბამბის ქსოვილების წარმოება გადიდდება 33-38 პროცენტით, შალის ქსოვილებისა — 65 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილებისა — 76 პროცენტით, ტყავის ფეხსაცმლისა — 45 პროცენტით, ხორცისა — 2,1-ჯერ, ერბო-კარაქისა — 58 პროცენტით, რძის პროდუქციისა — 2,2-ჯერ, შაქრისა — 76-90 პროცენტით, თევზისა — 60 პროცენტით.

მსუბუქი და კვების მრეწველობის წინაშე წარმოების გადიდებასთან ერთად პირველ პლანზე დასახულია პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების ამოცანა. სახალხო მოხმარების საქონელი უნდა იყოს კარგი ხარისხისა, ლამაზი, კოხტად შეფუთული და დაფასოვებული. სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების დავალებათა შესრულებისათვის გათვალისწინებულია აშენდეს მსუბუქი და კვების მრეწველობის 1.600-ზე მეტი ახალი საწარმო. გარდა ამისა. რეკონსტრუირებულ იქნება მრავალი მოქმედი საწარმო.

გათვალისწინებულია, რომ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მნიშვნელოვანი ნაწილი გადამუშავდეს სახელმწიფო საწარმოთა გარეთ, რისთვისაც საჭირო იქნება გაჩაღდეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ძალებით პურსაცხობი, ძეხვეულისა და ხორცის ნახევარფაბრიკატების, კარაქის, ყველის, ხაჭოს, ბოსტნეულის და ხილის კონსერვების, სახამებლისა და კვების სხვა პროდუქტების გამომმუშავებელი საწარმოების მშენებლობა. კოლმეურნეობებში სასაქონლო პროდუქციისა და შემოსავლის ზრდასთან დაკავშირებით უფრო ფართოდ უნდა მოვახდინოთ რამდენიმე კოლმეურნეობის სახსრების გაერთიანება უფრო მსხვილი და კარგად აღჭურვილი საკოლმეურნეობათაშორისო საკონსერვო ქარხნების, საწყობების, ძეხვეულისა და სხვა საწარმოების მშენებლობისათვის.

ჩვენი ქვეყნის სასურსათო რესურსების გადიდების დიდმნიშვნელოვანი წყაროა თევზი. ღია ზღვებსა და ოკეანეებში თევზჭერის შემდგომ განვითარებასთან ერთად აუცილებელია უნდა გამოვიყენოთ შინაგანი წყალსატევები, რომლებშიც შეიძლება ყოველწლიურად მივიღოთ სულ ცოტა 6-8 მილიონი ცენტნერი თევზი.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ შაქრის წარმოებაზე. როგორც გახსოვთ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე დასმული იყო ამოცანა, რომ შაქრის წარმოება 1972 წლისათვის ავიყვანოთ 9-10 მილიონ ტონამდე წელიწადში. ჩვენი შესაძლებლობების დაზუსტებასთან და იმ ინიციატივასთან დაკავშირებით, რომელიც სოფლის მეურნეობის მუშაკებმა გამოიჩინეს ჭარხლის წარმოების გადიდებაში, ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ გადაწყვიტეს გადასინჯონ ადრე დასახული ციფრები. ახლა ისახება ამოცანა, რომ შაქრის წარმოება 10 მილიონ ტონამდე ავიყვანოთ უკვე 1965 წელს, ესი იგი 7 წლით ადრე. შაქრის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე გაიზრდება ახლანდელი 26 კილოგრამიდან 41-44 კილოგრამამდე 1965 წელს.

შაქრის წარმოების დასახული ზრდა არა მარტო გაუმჯობესებს მოსახლეობის კვებას, არამედ კიდევაც გადიდებს საბიუჯეტო დაგროვებას, საშუალებას მოგვცემს დავფაროთ მაგარი სასმელების გაყიდვით მიღებული შემოსავლის შემცირება. 1958 წელს მოსახლეობამ იყიდა 113 მილიონი ლიტრით ნაკლები მაგარი სასმელები, ვიდრე 1957 წელს, ხოლო კულტურის შემდგომ ზრდასთან და აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებასთან ერთად, უეჭველია, კიდევ უფრო ნაკლებს იყიდის. ისეთი გადმონაშთის ლიკვიდაცია, როგორიც არის ლოთობა, ხელს შეუწყობს ადამიანთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ოჯახისა და საზოგადოებრივი ყოფაქცევის ნორმების შემდგომ განმტკიცებას. ამით მოიგებს სახელმწიფოც და მოსახლეობაც, რომელიც მოიხმარს მეტ ტკბილს და ნაკლებ მწარეს.

მსუბუქი მრეწველობის დიდ განვითარებასთან ერთად შვიდ წელიწადში დასახულია მანქანათმშენებლობისა და ხის დამუშავების საწარმოებში, აგრეთვე მრეწველობის სხვა დარგების ფართო მოხმარების საამქ-

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

როებში ერთიორად გადიდდეს ყოფაცხოვრებაში საჭირო ნაკეთობათა, საოჯახო შრომის შემამსუბუქებელი მანქანებისა და ხელსაწყოების გამოშვება.

სახალხო მეურნეობის ზრდის სწრაფი ტემპები მოითხოვს ტვირთზიდვის დიდ ზრდას. 1965 წელს **რკინიგზის ტრანსპორტის** ტვირთბრუნვა 1958 წელთან შედარებით გაიზრდება 39-43 პროცენტით. დასახულია განხორციელდეს ძირითად სახეობათა ტრანსპორტის, განსაკუთრებით რკინიგზის ტრანსპორტის ძირეული ტექნიკური რეკონსტრუქცია, ამასთან გათვალისწინებულია განხორციელდეს ორთქლმავლების შეცვლა ეკონომიური ლოკომოტივებით — ელმავლებითა და თბომავლებით.

შვიდწლედის დამლევისათვის ელმავლისა და თბომავლის წევაზე გადაყვანილი იქნება ასი ათასამდე კილომეტრი საერთო სიგრძის ყველა ძირითადი მაგისტრალი. ამ ხაზების გამტარუნარიანობა თითქმის ერთიორად გაიზრდება. ელმავლებისა და თბომავლების დანერგვა საშუალებას მოგვცემს შვიდ წელიწადში დავზოგოთ დაახლოებით 400 მილიონი ტონა ქვანახშირი და 45 მილიარდი მანეთით შევამციროთ საექსპლოატაციო ხარჯები.

შვიდწლიან გეგმაში დასახულია აგრეთვე ყველა სხვა სახეობის ტრანსპორტის შემდგომი განვითარება და ტვირთზიდვის გადიდება საზღვაო, სამდინარო, საჰაერო, საავტომობილო და მილსადენ ტრანსპორტზე. გაფართოვდება საავტომობილო გზების მშენებლობა. საერთოსახელმწიფოებრივი საავტომობილო მაგისტრალები გათვალისწინებულია აშენდეს მკვიდრი ცემენტ-ბეტონის საფარით. ადგილობრივი გზების მშენებლობაში ფართოდ უნდა ჩავაბათ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები.

გათვალისწინებულია მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობის, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებანი კავშირგაბმულობის საშუალებებით. რადიორელეური ხაზებისა და კაბელის მაგისტრალების მშენებლობა სწრაფი ტემპებით განვითარდება. დასახულია მნიშვნელოვნად გაფართოვდეს რადიომაუწყებელი და სატელევიზიო სადგურების ქსელი.

ამხანაგებო! შვიდწლიანი გეგმის ამოცანების წარმატებით გადაჭრა შეიძლება მხოლოდ ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვის, საწარმოო პროცესების **კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის,** სახალხო მეურნეობის ყველა დარგში **სპეციალიზაციისა და კოოპერირების** საფუძველზე.

შვიდწლიანი გეგმით დასახულია ამოცანა აღმოიფხვრას ხელის მძიმე შრომა საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის დამთავრების საფუძველზე მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებზე, კომუნალურ მეურნეობაში. უახლოეს დროში უნდა გადიდდეს ამისათვის საჭირო მექანიზმების გამოშვება.

კომპლექსური მექანიზაციის განხორციელებასთან ერთად გათვალისწინებულია წარმოების უფრო ფართო ავტომატიზაცია, რამაც ძირეულად უნდა შეამსუბუქოს და გააუმჯობესოს შრომის პირობები და მკვეთრად გაადიდოს მისი ნაყოფიერება. სოციალისტურ საზოგადოებაში ავტომატიზაციას არა მარტო ეკონომიური, არამედ აგრეთვე დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს. ავტომატიზაციის დროს ძირეულად იცვლება შრომის ხასიათი. მაღლდება მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონე, იქმნება პირობები გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის განსხვავების ლიკვიდაციისათვის; ადამიანის როლი ამოიწურება ავტომატებისა და ხელსაწყოების მართვით, მათი გაწყობით, ტექნოლოგიური პროცესების პროგრამებისა და რეჟიმების შედგენით.

ახლა ჩვენ ზოგიერთი წარმატება გვაქვს ამ დარგში. მაგალითად, შექმნილია სავსებით ავტომატიზებული ჰიდროელექტროსადგურები, საამქროები მანქანათმშენებლობასა და მეტალურგიაში და ზოგიერთი ქიმიური წარმოება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ავტომატიზაციას ჯერ არ მისცემია ფართო განვითარება. ამ ამოცანის გადასაჭრელად უახლოეს წლებში მასობრივი მასშტაბით უნდა მოვაწყოთ ავტომატიზაციის თანამედროვე საშუალებათა დიდად სპეციალიზებული წარმოება, რათა შემდეგში მივაღწიოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის კომპლექსურ ავტომატიზაციას. მრეწველობის მთელ რიგ დარგებში, ისეთებში, როგორიც არის ქიმიური, ნავთობგადასამუშავებელი, კვების მრეწველობა, ელექტროსადგურებში, საბრძმედე, მარტენისა და საგლინავ წარმოებაში, მანქანათმშენებლობის ცალკეულ დარგებში უკვე ახლა საჭიროა განხორციელდეს საამქროთა და საწარმოთა კომპლექსურ ავტომატიზაციაზე გადასვლა.

დარგებისა და საწარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების მთელი საქმის გაუმჯობესებისათვის შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ერთი და იმავე ტიპის პროდუქციის წარმოების შემდგომი კონცენტრაცია მინიმალური რაოდენობის საწარმოებში. შემდგომ ფართოდ განვითარდება ლითონის ნაკეთობათა, საბრძმედე და ფოლადის სადნობი მოწყობილობის, სხმულის, ნაჭედის, ნატვიფრისა და სხვა მანქანათსამშენებლო ნახევარფაბრიკატების წარმოების სპეციალიზაცია. ამრიგად, ჩვენ შევძლებთ ახალი ქარხნების აუშენებლად უზრუნველვყოთ ტურბინების, გენერატორების, ორთქლის ქვაბების, ტრაქტორებისა და სხვა მანქანების წარმოების მნიშვნელოვანი მატება.

ასეთია ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარებას მომავალ შვიდწლედში. როგორც ხედავთ, ამხანაგებო, ამოცანები უდიდესია. ჩვენ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რათა კიდევ უფრო განვამტკიცოთ საბჭოთა სახელმწიფოს ინდუსტრიული ძლიერება, მნიშვნელოვნად ავამაღლოთ წარმოების ტექნიკური დონე. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ გმირი მუშათა კლასი, მეცნიერული და ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენცია, გამოიჩენენ რა შემოქმედებითს ინიციატივას და კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ რა სოციალისტურ შეჯიბრებას, წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ შვიდწლიანი გეგმის დავალებებს.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხები

ამხანაგებო! კომუნისტური მშენებლობისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას.

მომავალ შვიდ წელიწადში, როგორც ეს განსაზღვრულია ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებით, სოფლის მეურნეობის დარგში ძირითადი ამოცანაა წარმოების ისეთი დონის მიღწევა, რომელიც საშუალებას მოგვცემს **მთლიანად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება სურსათზე, ხოლო მრეწველობისა — ნედლეულზე და უზრუნველვყოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე სახელმწიფოს ყველა სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.**

1959-1965 წლებისათვის გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის მოცულობის გადიდება 1,7-ჯერ, წარმოების საშუალო წლიური მატება 8 პროცენტი იქნება. შეიძლება აღინიშნოს, რომ უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მატების საშუალო წლიური ტემპი ამერიკის შეერთებულ შტატებში ორ პროცენტზე ნაკლები იყო.

გათვალისწინებულია შვიდი წლის დამლევს ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოება აყვანილ იქნას შემდეგ ოდენობამდე:

მარცვალი	— 10-11 მილიარდ ფუთამდე (164-180 მილიონ ტონამდე) 1958 წლის 8,5 მილიარდი ფუთის ნაცვლად;
ნედლი ბამბა	— 5,7-6,1 მილიონ ტონამდე, ანუ 30-39 პროცენტით მეტი, ვიდრე 1958 წელს;
შაქრის ჭარხალი	— 76-84 მილიონ ტონამდე, ანუ 40-55 პროცენტით მეტი, ვიდრე 1958 წელს;
ზეთოვანი კულტურების თესლი	— 5,5 მილიონ ტონამდე, ანუ 10 პროცენტით მეტი. ვიდრე 1958 წელს;
სელის ბოჭკო	— 580 ათას ტონამდე, ანუ 31 პროცენტით მეტი, ვიდრე 1958 წელს;
კარტოფილი	— 147 მილიონ ტონამდე 1958 წლის 86 მილიონი ტონის ნაცვლად;
ბოსტნეული	— ისეთი ოდენობით, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას;
ხილი და კენკრა	— უნდა გადიდდეს სულ ცოტა ერთიორად, ყურძენი — სულ ცოტა ოთხჯერ 1958 წელთან შედარებით;
ხორცი (დაკლული წონით)	— არა ნაკლებ 16 მილიონი ტონისა, ანუ ერთიორად მეტი 1958 წელთან შედარებით;
რძე	— 100-105 მილიონამდე ტონა, ანუ 1,7-1,8-ჯერ მეტი, ვიდრე 1958 წელს;
მატყლი	— დაახლოებით 548 ათასი ტონა, ანუ 1,7-ჯერ მეტი, ვიდრე 1958 წელს;
კვერცხი	— 37 მილიარდამდე ცალი, ანუ 1,6-ჯერ მეტი, ვიდრე 1958 წელს,

მიწათმოქმედებაში უახლოესი წლებისათვის მთავარ ხაზად რჩება ყოველი ღონისძიებით გადიდება მარცვლეულის წარმოებისა, როგორც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლისა. უკანასკნელ წლებში მარცვლეულის წარმოება იზრდებოდა უპირატესად ნათესი ფართობების გადიდების გზით. ახალი მიწების ათვისება ჩვენში კვლავაც განხორციელდება, მაგრამ ნაკლები ოდენობით, ვიდრე დღემდე, და არ მოგვცემს მარცვლეულის საერთო მოსავლის დიდ ზრდას, რადგან მნიშვნელოვანი ფართობები გამოიყოფა ტექნიკური კულტურებისა და ანეულისათვის.

ახლა, როცა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს კვალიფიციური კადრები ჰყავთ, აღჭურვილი არიან თანამედროვე ტექნიკით, შესაძლებლობა აქვთ დროზე და კეთილნარისხოვნად განახორციელონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, მეტი ოდენობით შეიტანონ ნათესებში ორგანული და მინერალური სასუქები, თესონ ჯიშიანი თესლი, შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ უახლოეს წლებში ყველგან **გადიდდეს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა საშუალოდ სამი-ოთხი ცენტნერით ჰექტარზე** და ამით მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს მარცვლეულის საერთო მოსავლის დავალებანი, რომლებიც დაწესებულია საკონტროლო ციფრებით.

მეცხოველეობის დარგში მომავალ შვიდწლედში მთავარი ამოცანაა ხორცის, რძის, მატყლისა და კვერცხის წარმოების გადიდება. ეს მიღწეულ უნდა იქნას იმ გზით, რომ მკვეთრად გადიდდეს ყველა სახეობის პირუტყვის, ფრინველის, შინაური კურდღლის სულადობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებში, გადიდდეს მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

საჭიროა უფრო გულმოდგინედ განვამტკიცოთ საკვები ბაზა, უწინარეს ყოვლისა იმ გზით, რომ გავადიდოთ სიმინდის, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის წარმოება, დავაგროვოთ ცილოვანი საკვები, ისეთი, როგორიც არის სამყურა, იონჯა, ცერცველა-შვრიის ნარევი, ბარდა, ხანჭკოლა და სხვა კულტურები, ამა თუ იმ ზონის თავისებურებებთან შეფარდებით. საჭიროა სერიოზული ყურადღება მივაქციოთ სოიას, რომელიც მეტად ძვირფასი სასურსათო, ტექნიკური და საკვები კულტურაა.

რძისა და კარაქის საერთო წარმოებით ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში პირველ ადგილზე გამოვიდა. უახლოესი წლების განმავლობაში ჩვენ არა მარტო დავეწევით, არამედ მნიშვნელოვნადაც გავუსწრებთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ამ პროდუქტების წარმოების მხრივ. ამასთანავე დიდი მუშაობა უნდა განვახორციელოთ მთელი რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოსაყენებლად, რათა გავადიდოთ ხორცის წარმოება 2,5-3-ჯერ, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შევასრულოთ შვიდი წლისათვის გათვალისწინებული დავალება და განვახორციელოთ ჩვენი ქვეყნის მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწოდება — დავეწიოთ შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ასეთი მაღალი ტემპები ემყარება მეურნეობის სოციალისტური სისტემის უდიდეს უპირატესობებს, ჩვენი ინდუსტრიის გაზრდილ ძლიერებას, რომელიც იძლევა ყველა საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებას მსხვილი მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის.

შვიდი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობას უნდა მივაწოდოთ მილიონზე მეტი ტრაქტორი, 400 ათასამდე მარცვლეულის კომბაინი, მრავალი სხვადასხვა მანქანა, მექანიზმი და მოწყობილობა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ენერგოაღჭურვილობა თითქმის ერთიორად გადიდდება.

შვიდწლედის დამლევისათვის ძირითადად დამთავრდება ყველა კოლმეურნეობის ელექტროფიკაცია, ხოლო საბჭოთა მეურნეობების ელექტროფიკაცია გაცილებით ადრე დამთავრდება. ელექტროენერგიის მოხმარება სოფლად თითქმის ოთხჯერ გაიზრდება; ეს შესაძლებლობას მოგვცემს შევამციროთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ხარჯები 19 მილიარდი მანეთით და მეტით, გადავდგათ უდიდესი ნაბიჯი წინ საკოლმეურნეო სოფლის კულტურის შემდგომ განვითარებასა და მისი ყოფაცხოვრების გაუმჯობესებაში.

სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა შრომის ნაყოფიერების გადიდება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. საჭიროა უზრუნველვყოთ საერთო პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდა, ამასთან შევამციროთ შრომისა და სახსრების ხარჯვა მის წარმოებაზე.

ახლა, როცა კოლმეურნეობები განმტკიცდნენ, გადიდდა მათი ტექნიკური აღჭურვილობა, გაიზარდნენ კადრები, გვაქვს ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ შვიდი წლის განმავლობაში მკვეთრად გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება და შევამციროთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულება.

ჩვენი მანქანათსამშენებლო მრეწველობა სოფლის მეურნეობას შეაიარაღებს კიდევ უკეთესი მანქანებით, რომლებიც საშუალებას მისცემენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიიღონ მეტი პროდუქცია შრომისა და სახსრების ნაკლები ხარჯვით. ამ მიზნით უნდა დაჩქარდეს მუშაობა ბამბის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების მოყვანის კომპლექსური მექანიზაციისათვის საჭირო მანქანების სისტემათა შესაქმნელად.

ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ ჩამორჩენა მეცხოველეობის შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციაში, მნიშვნელოვნად გავადიდოთ სატრანსპორტო საშუალებანი, შევქმნათ საწევრები, სწრაფმავალი ტრაქტორები, სხვადასხვა მისაბმელები და თვითსაცლელი ურიკები. დადგა დრო გადავჭრათ კომბინირებული საკვების წარმოების პრობლემა, რისთვისაც უნდა მოვაწყოთ კომბინირებული საკვების სახელმწიფო და საკოლმეურნეობათაშორისო ქარხნების მშენებლობა. საჭიროა გავადიდოთ სამელიორაციო ტექნიკის, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის საშუალებების, აგრეთვე ტორფის, კირისა და სხვა ადგილობრივი სასუქების დასამზადებელი მანქანების წარმოება.

ამასთან საჭიროა რაც შეიძლება ნაყოფიერად გამოვიყენოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული მანქანა-ტრაქტორთა პარკი, ავიყვანოთ სათადარიგო ნაწილების გამოშვება ისეთ ოდენობამდე, რომელიც დააკმაყოფილებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილებას ამ ნაწილებზე, ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ მუშაობა მანქანების შეკეთების დარგში.

ამხანაგებო! სოფლის მეურნეობის საკითხების განხილვამ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, მექანიზატორების, სპეციალისტებისა და მეცნიერების, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელების მონაწილეობით მთელი სიცხადით დაგვანახვა, რომ თვითეულ რესპუბლიკას, მხარეს, ოლქსა და რაიონს, თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების დიდი შესაძლებლობები აქვს.

ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილება ფართოდ იქნა განხილული მოკავშირე რესპუბლიკათა კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პლენუმებზე, პარტიული და სასოფლო-სამეურნეო აქტივის კრებებზე, სადაც არა მარტო მოიწონეს მიღებული გადაწყვეტილებანი, არამედ შესაძლებლობათა გამოანგარიშებისა და გათვალისწინების საფუძველზე კიდევაც იკისრეს ვალდებულებანი, განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში.

კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები პლენუმის გადაწყვეტილებათა განხილვის მსვლელობაში პოულობენ ისეთ რეზერვებს, რომელთა უნარიანად გამოყენება საშუალებას მოგვცემს მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ მარცვლეულის, ხორცისა და სხვა პროდუქტების ყოფაძოეაის დავალებანი როგორც ვადების, ისე ოცულობის ითვალისწინებით.

ახლა უკვე არიან პირველი მერცხლები, რომლებიც კარგ იაფფასს გვპირდებიან. ძაგალითად, რიაზანის ოლქში ვალდებულება იკისრეს უკვე ძიმდინარე წელს გაადიდონ 1958 ფელთან შედარებით ხორცის წარმოება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა ძეურნეობებში 3,8-ჯერ, სტავროპოლის ძხარეში — 2,5-ჯერ, როსტოვის ოლქში — ერთიორად. მოსკოვის ოლქში ვალდებულება იკისრეს 1959 წელს ხორცის წარმოება მთლიანად ოლქში აიყვანონ 70 ცენტნერამდე ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე და მისცენ სახელმწიფოს ეოთიორად მეტი ხორცი, ვიდრე 1958 წელს. კრასნოდარის მხარემ ვალდებულება იკისრა მიმდინარე წელს ას ჰექტარზე მიიღოს 84 ცენტნერი ხორცი და ხორცის საერთო წარმოება მხარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაადიდოს წლის განმავლობაში 2,5-ჯეო და მეტად.

უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთისა და სხვა რესპუბლიკების კომპარტიების ყრილობებმა, სამხარეო და საოლქო პარტიულმა კონფერენციებმა, განიხილეს რა საკონტროლო ციფრები და ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი უახლოეს წლებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის. უკრაინის კომპარტიის ყრილობამ მხურვალედ დაუჭირა მხარი რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და რაიონების ინიციატივას — უახლოეს ხუთ წელიწადში ხორცის წარმოება დაკლული წონით აიყვანონ სულ ცოტა 100 ცენტნერამდე ას ჰექტარ მიწაზე და ამით თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ მოწინავე კოლმეურნეობათა იმ მოწოდების შესრულებაში, რომ დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ხორცის წარმოების მხრივ. ბელორუსიის კომპარტიის ყრილობაზე მიღებულია გადაწყვეტილება მიმდინარე წელს ხორცის წარმოება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადიდდეს ერთიორად.

შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ იმათ, ვინც ასეთ ვალდებულებებს კისრულობს, კარგად იციან ანგარიში და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა კარგად დარაზმონ ადამიანები დასახული მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ვალდებულებანი წარმოების რამდენჯერმე გადიდების შესახებ ჯერ კიდევ არ ასახავენ ყველა შესაძლებლობას, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება. თვითეული რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, რაიონის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის წვლილი მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების იმ მოწოდების შესრულებისათვის ბრძოლაში, რომ დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ხორცისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების მხრივ, უნდა შევაფასოთ ას ჰექტარ მიწაზე გაანგარიშებით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი განვითარების შესაძლებლობათა გამოყენების გადამწყვეტი პირობაა უნარიანად შერჩევა და სწორად განაწილება კადრებისა, უწინარეს ყოვლისა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, ბრიგადირების, ფერმების გამგეებისა, რომლებსაც უნარი შესწევთ შეაკავშირონ, დარაზმონ და გაიყოლიონ მასები.

ახლა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ბრიგადებსა და ფერმებში მიმდინარეობს 1959-1965 წლებისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების კონკრეტული გეგმების შემუშავება. კომუნისტურ პარტიას სამეურნეო გეგმების შედგენა მუდამ მიაჩნდა ხალხის მასების შემოქმედებით საქმედ. საჭიროა დავეხმაროთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შეადგინონ ისეთი გეგმები, რომლებშიც მთლიანად იქნება გათვალისწინებული საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების ყველა შესაძლებლობანი.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი სახელოვანი კოლმეურნეგლეხობა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სპეციალისტები ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ შვიდწლიანი გეგმა სოფლის მეურნეობის დარგში წარმატებით შესრულდეს არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც.

კაპიტალური მშენებლობა და საწარმოო ძალების განლაგება

ამხანაგებო! გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების სწრაფი ტემპების საფუძველია კაპიტალური დაბანდებანი ახალ მშენებლობასა და საწარმოთა რეკონსტრუქციაში. მომავალ შვიდ წელიწადში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა შეადგენს ორ ტრილიონამდე მანეთს. თუ კიდევ გავითვალისწინებთ მშენებლობას არაცენტრალიზებული სახსრებით, კოლმეურნეობათა კაპიტალურ დაბანდებებს, აგრეთვე საბინაო მშენებლობას მოსახლეობის სახსრებით. კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა გამოიხატება თანხით. რომელიც 3 ტრილიონ მანეთს უახლოვდება. **ეს იმას ნიშნავს, რომ შვიდი წლის განმავლობაში დაბანდებულ იქნება დაახლოებით იმდენი სახსრები, რამდენიც დაბანდებული იყო საბჭოთა ხელისუფლების ყველა წლის მანძილზე.**

სწრაფი ტემპებით განვითარდება კაპიტალური მშენებლობა მრეწველობაში. მაშინ როცა კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა მთლიანად სახალხო მეურნეობაში გაიზრდება 1,8-ჯერ, კაპიტალური დაბანდებანი მრეწველობაში გადიდდება დაახლოებით ერთიორად წინა შვიდ წელიწადთან შედარებით.

კაპიტალური დაბანდებანი მრეწველობის ცალკეულ დარგებში, სამშენებლო ინდუსტრიასა და ტრანსპორტში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით (მილიარდ მანეთობით შესადარ ფასებში):

	1952-1958 წლები	1959-1965 წლები	პროცენტობით 1952-1958 წლებთან შედარებით
შავი მეტალურგია	40,8	100	245
ქიმიური მრეწველობა	19,9	100-105	502-528
ნავთობისა და გაზის მრეწველობა	72,2	170-173	235-240
ქვანახშირის მრეწველობა	61,2	75-78	122-127
ელექტროსადგურები, ელექტროქსელები და თბოქსელები	75,1	125-129	166-172
მანქანათმშენებლობა	65.5	118	180
სატყეო, ქაღალდისა და ხისგადასამუშავებელი მრეწველობა	25,3	58-60	229-237
მსუბუქი და კვების მრეწველობა	40	80-85	200-212
სამშენებლო ინდუსტრია და საშენ მასალათა მრეწველობა	61,5	110-112	179-182
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	107,4	209-214	195-199
აქედან რკინიგზის ტრანსპორტი	59,3	110-115	185-194

სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სოფლის მეურნეობაში დაახლოებით 500 მილიარდი მანეთი იქნება, ესე იგი განვლილი შვიდი წლის დაბანდებათა მოცულობას თითქმის ერთიორად გადააჭარბებს.

გეგმით გათვალისწინებულია განხორციელდეს ღონისძიებანი საწარმოთა ძირეული რეკონსტრუქციის, გაფართოებისა და ტექნიკური ხელახალი შეიარაღებისათვის, მოწყობილობის განახლებისა და მოდერნიზაციისათვის, რაც ბევრ შემთხვევაში შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად ნაკლები ფულადი და მატერიალური დანახარჯებით და უფრო სწრაფად, ვიდრე ახალ საწარმოთა მშენებლობის დროს, გადავჭრათ პროდუქციის გამოშვების გადიდების ამოცანა.

უფრო სრულად რომ გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების ბუნებრივი რესურსები, გათვალისწინებულია მომავალ შვიდ წელიწადში მთელ კაპიტალურ დაბანდებათა 40 პროცენტზე მეტი მოვახმაროთ ამ რაიონებს.

უდიდესი სახსრები გამოიყოფა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის. საბინაო და კომუნალური მშენებლობისათვის მარტო სახელმწიფო სახსრებიდან შვიდი წლის განმავლობაში დაიხარჯება 375-380 მილიარდი მანეთი წინა შვიდი წლის 214 მი-

(გაგრძელება მე-5 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

ლიარდი მანეთის ნაცვლად; სკოლების, საავადმყოფოებისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო დაწესებულებების შენებლობას მოხმარდება 80 მილიარდ მანეთზე მეტი ნაცვლად 46 მილიარდი მანეთისა. დიდი სახსრები იქნება დაბანდებული სკოლა-ინტერნატებისა და სბავშვო დაწესებულებების შენებლობაში.

იმისათვის, რომ წარმატებით გავართვათ თავი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში კაპიტალურ სამუშაოთა დასახულ მოცულობას, კვლავაც უნდა განვაგრძოთ მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის კურსი, იმის კურსი, რომ სამშენებლო წარმოება გადავაქციოთ ქარხნებში დამზადებული დიდზომიანი ელემენტებისა და კვანძებისაგან შენობათა და ნაგებობათა აწყობისა და მონტაჟის მექანიზებულ ნაკადურ პროცესად.

მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებზე უსწრაფესი გადასვლის მიზნით ფართოდ უნდა დავნერგოთ ისეთი მაღალეფექტიანი პროცესები, როგორიც არის რკინაბეტონის პანელების წარმოების ვიბროსაგლინავი და კასეტური წესები. დიდპანელიან სახლებს უეჭველი უპირატესობა აქვს. კასეტური მეთოდით დამზადებული დეტალებისაგან აგებულ დიდპანელიან საცხოვრებელ სახლებში ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობზე გაანგარიშებით კონსტრუქციების წარმოების შრომატევადობა სამჯერ და მეტად ნაკლებია, ვიდრე აგურისკედლებიან სახლებში. შრომის ხარჯი მშენებლობაზე ერთიორად ნაკლებია.

უნდა აღინიშნოს, რომ ცემენტის ხარჯი დიდპანელიან სახლებში არ აღემატება იმ ცემენტის ხარჯს, რომელიც აგურისკედლებიანი სახლების მშენებლობას უნდება, ხოლო ლითონის ხარჯი რამდენადმე ნაკლებიც კია. ასეთი პანელებისაგან აწყობილი სახლები ორჯერ უფრო მსუბუქია აგურისაზე.

დიდპანელიანი სახლთმშენებლობის განვითარებით ვაღწევთ არა მარტო მაღალ ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში, არამედ აგრეთვე ერთიორად მცირდება ხარჯები საწარმოო ბაზის შექმნაზე. დიდპანელიანი სახლთმშენებლობის უპირატესობანი საკმაოდ შეიძლება რეალიზებულ იქნას მხოლოდ ქარხნებში დეტალების მასობრივი წარმოების მოგვარების და მოედანზე სახლების სერიული მონტაჟის დროს. ამიტომ გეგმით გათვალისწინებულია 1965 წელს დიდპანელიანი მშენებლობის მოცულობა აყვანილ იქნას წელიწადში 25 მილიონ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობამდე.

ამჟამად გრძელდება აგრეთვე მოწყობილობის სამრეწველო გამოცდა, ტექნოლოგიის დამუშავება, ექსპერიმენტულ და საპროექტო სამუშაოთა განხორციელება გლინვის სხვადასხვა მეთოდით თხელკედლიანი წინასწარ დაძაბული პანელების წარმოებისათვის. ასეთი პანელების გამოყენება შესაძლებლობას იძლევა გავრცელდეს დიდპანელიანი კონსტრუქციები სამრეწველო, ჰიდროტექნიკურ და სხვა სახეობათა მშენებლობაში, სადაც საჭიროა დიდი მალები და დატვირთვა.

რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოების მოცულობის გადიდებასთან ერთად უფრო ფართოდ უნდა დავნერგოთ ყველაზე ეკონომიური წინასწარ დაძაბული და თხელკედლიანი კონსტრუქციები, აგრეთვე მსუბუქი ბეტონის ნაკეთობანი. ასეთი კონსტრუქციები მოითხოვენ 40-50 პროცენტით ნაკლებ ლითონს და არსებითად ამსუბუქებენ შენობათა წონას. მეტად პროგრესულია აგრეთვე მშენებლობაში აზბესტ-ცემენტის კონსტრუქციებისა და დეტალების გამოყენება.

რკინაბეტონისა და მისგან გაკეთებული ახალი საშენი დეტალების წარმოების ფართო განვითარება და მძლავრი საამწეო საშუალებანი შესაძლებლობას გვაძლევენ სულ სხვანაირად გადავჭრათ ახლა სახურავების გაკეთების საკითხი, ესე იგი არ ვაკეთოთ სახურავი ისე, როგორც დღემდე ვაკეთებდით, — სპეციალური სახურავის გამოყენებით, არამედ შევათავსოთ სახურავი და რკინაბეტონის გადახურვა. პრაქტიკულად ეს უკვე შემოწმებულია — ბევრია ისეთი სახლი, რომელთა აშენების დროს შეთავსებულია გადახურვა და სახურავი. უფრო ფართოდ უნდა დავნერგოთ სახურავთა მშენებლობის ახალი მეთოდები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს დავზოგოთ ლითონი და აღარ დაგვჭირდეს რემონტი. შესაძლოა მოგვიხდეს მივიღოთ სპეციალური დადგენილება, რომელშიც საჭირო იქნება დავაწესოთ ამ ღონისძიების განხორციელების ვადები, ისე რომ ბოლოს და ბოლოს კონსერვატორებმაც ახლებურად იმუშაონ.

მშენებლობის შემდგომი ინდუსტრიალიზაცია მოითხოვს ცემენტის გამოშვების მკვეთრად გადიდებას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას. შვიდი წლის მანძილზე ცემენტის წარმოება გადიდდება 50 მილიონამდე ტონით, რაც თითქმის უდრის ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი წარმოების თანამედროვე დონეს. გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე სხვა საშენი მასალების, განსაკუთრებით სითბოსაიზოლაციო მასალების, პლასტიკური მასებისა და სინთეზური ფისების ბაზაზე მასალათა და ნაკეთობათა გამოშვების გადიდებას, სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობის გამოშვების გადიდებას.

იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ მშენებლობის მოთხოვნილებანი მასალებსა და კონსტრუქციებზე, საჭიროა პირველ რიგში განვავითაროთ სამშენებლო ინდუსტრია და საშენ მასალათა მრეწველობა. გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო იმ არასწორ პრაქტიკას, როცა ყოველ მშენებლობასთან ქმნიან საკუთარ, ხშირად ნახევრადშინამრეწველურ საწარმოო ბაზას; უნდა მოეწყოს სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა რაიონული სისტემა ეკონომიური რაიონის მშენებლობის ან თავმოყრილი მშენებლობის კვანძის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

საჭიროა გაგრძელდეს მუშაობა წვრილი სამშენებლო ორგანიზაციების განსამტკიცებლად და მათი შემდგომი სპეციალიზაცია, რაც საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად დავაჩქაროთ და გავაიაფოთ მშენებლობა. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების საკითხები კვლავ მთავარი საკითხებია მშენებლობაში. გეგმა ითვალისწინებს, რომ მშენებლობის თვითღირებულება შვიდ წელიწადში მთლიანად შემცირდეს სულ ცოტა 6 პროცენტით და საბინაო მშენებლობის ღირებულება შემცირდეს 14 პროცენტით 1958 წელთან შედარებით.

ამხანაგებო, ბოლო უნდა მოეღოს სახსრების ბევრ მშენებლობაზე დაქსაქსვის მანკიერ პრაქტიკას. კაპიტალურ დაბანდებებს, მატერიალურ და ადამიანთა რესურსებს თავი უნდა მოვუყაროთ ყველაზე დიდმნიშვნელოვან და ძსამუშავებელ ობიექტებზე. არ შეიძლება ახალი მშენებლობის დაწყება, თუ საკმაოდ არ მოვემზადებით მისთვის, თუ არ გვექნება დამთავრებული პროექტები, საჭირო სამშენებლო ბაზა და სხვა პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ სწრაფ მშენებლობას. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენი საგეგმო და სამეურნეო ორგანოები გულმოდგინედ და ყაირათიანად უდგებოდნენ სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენებას.

მომავალ შვიდ წელიწადში მშენებლობის უმაგალითო გაქანება მოითხოვს, რომ განსაკუთრებული ყურადღებით მოვეკიდოთ **საწარმოო ძალების განლაგებას.**

პარტიის XX ყრილობამ მიგვითითა, რომ საჭიროა ენერგიულად გამოვიყენოთ მეურნეობაში აღმოსავლეთ რაიონების ნედლეულისა და ენერგეტიკის უდიდესი რესურსები. ეს მითითება წარმატებით ხორციელდება. ჩაღდება მუშაობა იმისათვის, რომ ციმბირსა და აღმოსავლეთში შეიქმნას მესამე ფულტურგიული ბაზა. ანგარსა და ენისეიზე შენდება მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურები. მტკიცდება წარმატებანი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში.

საკონტროლო ციფრები ითვალისწინებენ შემდგომი ნაბიჯის გადადგმას ამ ამოცანების გადაჭრაში. 1965 წელს აღმოსავლეთ რაიონების ხვედრითი წონა ქვანახშირის მოპოვებაში გადიდდება 50 პროცენტამდე, ფოლადის წარმოებაში — 48 პროცენტამდე, რაფინირებული სპილენძის წარმოებაში — 88 პროცენტამდე, ალუმინის წარმოებაში — 71 პროცენტამდე, ცემენტის წარმოებაში — 42 პროცენტამდე, ელექტროენერგიის გამომუშავებაში — 46 პროცენტამდე, მერქნის გამოზიდვაში — 52 პროცენტამდე, ქაღალდის წარმოებაში — 32 პროცენტამდე. ვითარდება ქიმიური მრეწველობა, ნავთობგადამუშავება, ფერადი მეტალურგია.

ახალი მშენებლობის გიგანტური მასშტაბები სერიოზულ ცვლილებებს შეიტანს აღმოსავლეთ რაიონების ეკონომიურ რუკაში. ახალი მძლავრი სამრეწველო კვანძების — კუსტანაის, პავლოდარ-ეკიბასტუზის, აჩინსკ-კრასნოიარსკის, ბრატსკ-ტაიშეტისა და სხვა კვანძების შექმნა უდიდეს ბიძგს მისცემს ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთის საწარმოო ძალების განვითარებას.

მარცვლეულის ახალი ბაზის შექმნამ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში შესაძლებლობა მოგვცა დაგვეწყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირეული გარდაქმნა მთელ რიგ რესპუბლიკებსა და ოლქებში და უფრო გონივრულად გამოგვიყენებინა მდიდარი ბუნებრივ-ეკონომიური პირობები მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

თუ წინათ, მაგალითად, ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვემზადებინა პური მთელ ჩვენს ქვეყანაში, ამჟამად შექმნილია შესაძლებლობა ჯერჯერობით არ ვაწარმოოთ პურის შესყიდვა რუსეთის სფსრ ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, ბელორუსიისა და უკრაინის პოლესიეს ბევრ რაიონში. ეს რაიონები სპეციალიზებულ იქნებიან ახლა რძის, ბეკონისა და ტექნიკური კულტურების წარმოებისათვის, რისთვისაც იქ უფრო ხელსაყრელი პირობებია. რასაკვირველია, შემდგომში, როცა ეს რაიონები საჭირო ოდენობით მიიღებენ მინერალურ სასუქებს მარცვლეული კულტურებისათვის, გაადიდებენ მარცვლეულის მოსავლიანობას და მის წარმოებას, იგი იქ უფრო იაფიც იქნება, ვიდრე სხვა ოლქებსა და რესპუბლიკებში. მაშინ ხელსაყრელი იქნება პურის შესყიდვა ამ რაიონებშიც.

ჩვენ ახლა მოგვეცა შესაძლებლობა შევამციროთ, ხოლო შემდგომში, როცა განვითარდება მარცვლეულის წარმოება ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში, სულაც აღარ შევისყიდოთ მარცვლეული ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკებში, რათა უფრო სწრაფი ტემპებით განვავითაროთ იქ ისეთი უძვირფასესი კულტურები, როგორიც არის ბამბა, ჩაი, ციტრუსები, ყურძენი, ხილი და სხვ.

უკრაინის, ჩრდილოეთ კავკასიისა და ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქების რაიონები დიდხანს წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის ძირითად ბეღელს. ახლა მარცვლეულის მეურნეობის რამდენადმე შემცირების გამო მათ მიეცათ შესაძლებლობა განახორციელონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზაცია მეცხოველეობისა და ტექნიკური კულტურების, განსაკუთრებით შაქრის ჭარხლის განვითარების მიმართულებით.

ყოველი ღონისძიებით ვავითარებთ რა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთის საწარმოო ძალებს, საჭიროა მთლიანად გამოვიყენოთ სსრ კავშირის ევროპული ნაწილის რაიონებში წარმოების გაფართოების არსებული შესაძლებლობანი, აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოქმედი საწარმოების სიმძლავრეთა, სავარგულების უკეთ გამოყენებასა და გაფართოებას, შინაგანი რეზერვების მობილიზაციას, რაიონთა სპეციალიზაციის განვითარებას, სამეურნეო ურთიერთობის რაციონალიზაციას.

მომავალ შვიდ წელიწადში მნიშვნელოვნად განმტკიცდება საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ნედლეულისა და ენერგეტიკის ბაზები. ნავთობისა და გაზის უმდიდრესი საბადოები საშუალებას გვაძლევენ გარდაქმნათ სათბობის ბალანსი და შევწყვიტოთ ქვანახშირის შემოზიდვა აქ ათასობით კილომეტრზე — კუზბასიდან და ყარაგანდიდან.

გათვალისწინებულია ნავთობისა და გაზის ნედლეულის საფუძველზე შეიქმნას ორგანული სინთეზის მძლავრი მრეწველობა ბევრ რაიონში, განსაკუთრებით ვოლგისპირეთში. ნავთობგადასამუშავებელი მრეწველობა ვითარდება სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ყველა ძირითად ეკონომიურ რაიონში. დასახულია ფართოდ გამოვიყენოთ კურსკის მაგნიტური ანომალიის და კრივოი როგის რკინის მადნის აუზის რკინის მადნები, რომელთა ბაზაზე შემდგომ განვითარდება ჩვენი ქვეყნის ცენტრისა და სამხრეთის შავი მეტალურგია. მნიშვნელოვნად გაიზრდება ვოლგის, დნეპრისა და სხვა მდინარეების ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენება სტალინგრადის, კრემენჩუგისა და სხვა ჰიდროელექტროსადგურების ამუშავებასთან დაკავშირებით.

გათვალისწინებულია აგრეთვე ბუნებრივი და შრომითი რესურსების უფრო სრულად გამოყენება სოფლის მეურნეობაში ზონების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის გაუმჯობესების, მისი ინტენსიფიკაციის, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი გადიდების გზით. დიდი სამრეწველო ცენტრების მახლობლად შეიქმნება ბოსტნეულის, რძისა და კვების სხვა პროდუქტების წარმოების საგარეუბნო მეურნეობათა მძლავრი ბაზები ამ ცენტრების მოსახლეობის მოსამარაგებლად.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანები მომავალ შვიდ წელიწადში საჭიროს ხდიან სახალხო მეურნეობის დაგეგმვის გაუმჯობესებას. ჩვენი დაგეგმვა უნდა ითვალისწინებდეს როგორც რესპუბლიკის, ისე მსხვილი ეკონომიური რაიონების მეურნეობის შემდგომ სპეციალიზაციასა და კომპლექსურ განვითარებას.

ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების შექმნამ უფრო რაციონალური გახადა სამეურნეო ურთიერთობა როგორც თვით რაიონებში, ისე რაიონებს შორის და მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი მისცა ჩვენს ქვეყანას. მაგრამ შემჩნეულია აგრეთვე კომპლექსური მეურნეობის მცდარი, კუთხური გაგება, როგორც კარდახშული მეურნეობისა. საჭიროა გადაჭრით ვებრძოლოთ მსგავსი ანტისახელმწიფოებრივი ტენდენციების გამოვლინებას.

საბჭოთა კავშირი არის მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, დაფუძნებული თანასწორუფლებიან ხალხთა მეგობრობაზე, რომლებსაც აერთიანებს ერთიანი ნება და მისწრაფება განუხრელად იარონ წინ, კომუნისტური მშენებლობის გზით. **ჩვენს გეგმებში მკაფიოდ გამოხატულია ლენინური ეროვნული პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ფართო შესაძლებლობებს ყველა ხალხის ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივი განვითარებისათვის.** ეს ახალ დადასტურებას პოულობს აგრეთვე სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებში, რომლებიც ითვალისწინებენ ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მეურნეობის უდიდეს ზრდას. თვითეულ რესპუბლიკაში ვითარდება უწინარეს ყოვლისა მეურნეობის ის დარგები, რომლებისთვისაც აქ ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიური პირობებია.

თეზისებში საკონტროლო ციფრების შესახებ აღნიშნულია ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებას. აღნიშნულ მაჩვენებლებს მხარი დაუჭირეს და სავსებით მოიწონეს ამ რესპუბლიკების მშრომელებმა.

შვიდწლიან გეგმაში გათვალისწინებულია, ერთი მხრივ, რესპუბლიკის რესურსების ყველაზე ეფექტიანი გამოყენება და, მეორე მხრივ, უზრუნველყოფილია ცალკეული რესპუბლიკებისა და მთლიანად საბჭოთა კავშირის ინტერესების სწორი შეხამება. გეგმით დასახულია რესპუბლიკებს შორის ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცება და შრომის სოციალისტური განაწილების გაფართოება. სოციალისტური ერების თანამგზრობა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების ზრდის წყაროა. ჩვენი პარტია, რომელიც მასებს ზრდის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, მუდამ ეწეოდა შეურიგებელ ბრძოლას როგორც დიდმპყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ, ისე ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

ამოცანა ის არის, რომ უფრო ფართოდ განვავითაროთ მშრომელთა აღზრდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით. კომუნისტურ პარტიას თავის წმიდა მოვალეობად მიაჩნია დაუცხრომლად განამტკიცოს ხალხთა მეგობრობა — საბჭოთა კავშირის ძლიერებისა და უძლეველობის საფუძველი.

* * *

ამხანაგებო! მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის განვითარების გეგმების განხორციელება, მშენებლობის პროგრამის შესრულება მომავალ შვიდ წელიწადში შესაძლებელია იმ პირობით, თუ მნიშვნელოვნად ამაღლდება ტექნიკის დონე და გადიდდება **საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება** — გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოებისა და დაგროვების მთავარი წყარო, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების საფუძველი.

შვიდი წლის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით უნდა გადიდდეს 45-50 პროცენტით, მშენებლობაში — 60-65 პროცენტით, რკინიგზის ტრანსპორტზე — 34-37 პროცენტით, საბჭოთა მეურნეობებში — 60-65 პროცენტით, კოლმეურნეობებში — დაახლოებით ერთიორად. სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემოკლების გათვალისწინებით საათობრივი გამომუშავება კიდევ უფრო გადიდდება. შრომის ნაყოფიერების გადიდებით 1965 წელს მიღებულ იქნება სამრეწველო პროდუქციის სამი მეოთხედი მატება.

საზოგადოებრივი წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით უფრო გადიდდება მატერიალური და შრომითი დანახარჯების ეკონომიის მნიშვნელობა. საჭიროა სახალხო მეურნეობის შინარეზერვების მაქსიმალური მობილიზაცია. შვიდ წელიწადში წარმოების ხარჯები მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და საბჭოთა მეურნეობებში უნდა შემცირდეს დაახლოებით 850 მილიარდი მანეთით. რას ნიშნავს ეს ციფრი? ეს არის შვიდ წელიწადში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის თითქმის ნახევარი.

საგეგმო დავალებათა წარმატებით შესრულება განუყოფელად დაკავშირებულია იმასთან, რომ საჭიროა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ეკონომიური მუშაობა სამეურნეო საქმიანობის ყველა დარგში.

ჩვენს ქვეყანაში, სადაც გაფართოებული კვლავწარმოებისათვის დაგროვების წყაროა შიდასამეურნეო დაგროვება, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბრძოლას ეკონომიის უსასტიკესი რეჟიმისათვის. პარტია მუდამ აღნიშნავდა, რომ საჭიროა მეურნეობას გავუძღვეთ ყველაზე რაციონალური მეთოდებით. ახლა, **როცა წარმოების ხარჯების შემცირების თვითეულ პროცენტს გამოხატავს კოლოსალური ციფრი, რომელიც 12 მილიარდ მანეთს აღემატება, ხოლო შვიდწლედის ბოლოს 21 მილიარდი მანეთი იქნება წელიწადში, თვითღირებულების შემცირებისათვის, ეკონომიის რეჟიმისათვის ბრძოლას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.**

ამიტომ საქმე ეხება იმას, რომ მოვაწყოთ ნამდვილად საყოველთაო-სახალხო ლაშქრობა უყარათობის, მფლანგველობის, ხალხის დოვლათისადმი დაუდეგარი მოპყრობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. საჭიროა გაეაძლიეროთ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საწარმოთა, მშენებლობათა საქმიანობის ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებით პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის ამაღლებისათვის. საჭიროა კვლავაც განვამტკიცოთ სამეურნეო ანგარიში მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში.

შვიდწლიანი გეგმის შედგენისას გათვალისწინებული იყო, რომ მისი შესრულებისათვის საჭირო არ იქნეს ზედმეტი დაძაბულობა. რატომ ვქენით ეს? იმიტომ, რომ მეტად დაძაბული გეგმის პირობებში გამორიცხული არ არის მისი შეუსრულებლობა ცალკეულ პოზიციებში, მეურნეობის ზოგიერთმა დარგმა შეიძლება ვერ მიიღოს საჭირო რაოდენობით ნედლეული, მასალები, მოწყობილობა, ამან კი შეიძლება გამოიწვიოს საწარმოთა მოცდენა და, მაშასადამე, საწარმოო სიმძლავრეთა არასრული გამოყენება, მუშების გაცდენა აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. ეს არის ის, რასაც ეკონომისტები დისპროპორციებს უწოდებენ.

შვიდწლიანი გეგმა ისე იქნება შედგენილი, რომ ეს არ დავუშვათ. გეგმის გადაჭარბებით შესრულება შესაძლებლობას მოგვცემს შეექმნათ დამატებითი რეზერვები და მივიღოთ ზეგეგმითი დაგროვება. ამრიგად, იქმნება ხელსაყრელი პირობები საწარმოთა რიტმული მუშაობისა და მოწყობილობის უკეთ გამოყენებისათვის. რიტმული მუშაობის შედეგად არ იქნება საწარმოთა მოცდენა, უკეთ იქნება გამოყენებული სამუშაო ძალა, მოწყობილობა, გამორიცხული იქნება საწარმოთა დაუტვირთაობა. მაშასადამე, გაიზრდება შრომის ნაყოფიერება და უფრო მყარი იქნება მუშაობა შემოსავალი.

ეს კარგ პირობებს ქმნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის გეგმაზომიერი განვითარებისათვის. მაგრამ, რა თქმა უნდა, თუ ყოველი გეგმა ტალღების დინებას, თვითდინებას მივიკიცი. იგი ვერ შესრულდება. უნდა მოვახდინოთ მთელი ხალხის — მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსების, მეცნიერების, მოსამსახურეების, კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშაკების ღონისძიებათა მობილიზაცია შვიდწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ხოლო რას ნიშნავს ჩვენს დროში სახალხო-სამეურნეო გეგმის თუნდაც ერთი ან ორი პროცენტის გადაჭარბებით შესრულება?

ცნობილია, რომ პირველი ხუთწლედის უკანასკნელ წელს (1932 წელს) სამრეწველო პროდუქციის მატების ერთი პროცენტი თანამედროვე ფასებში შეადგენდა დაახლოებით 800 მილიონ მანეთს, 1959 წელს შეადგენს 11 მილიარდ მანეთზე მეტს, ხოლო 1965 წელს სამრეწველო პროდუქციის მატების ერთი პროცენტი გეგმით 19 მილიარდ მანეთზე მეტი იქნება. თუ, მაგალითად, სამრეწველო წარმოების ზრდის საშუალო წლიური ტემპი, დასახული შვიდწლიანი გეგმით (8,6 პროცენტი), ყოველწლიურად ერთი პროცენტის გადაჭარბებით შესრულდება, ეს შესაძლებლობას მოგვცემს 1965 წელს დამატებით მივიღოთ 130 მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების, მთლიანად შვიდ წელიწადში კი 440 მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. ხოლო თუ პროდუქციის საშუალო წლიური მატება ორი პროცენტით მეტი იქნება გეგმაზე, სამრეწველო პროდუქციის დამატებითი გამოშვება 1965 წელს 265 მილიარდ მანეთზე მეტი იქნება, მთლიანად შვიდწლედში კი 900 მილიარდ მანეთს გადააჭარბებს. ჩვენ აგრეთვე დარწმუნებული ვართ, რომ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდის და წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირების დავალებებიც.

ამის შედეგად სახელმწიფოს ექნება ათობით და ასობით მილიარდი მანეთი დამატებითი დაგროვება. ეს დაგროვება დიდი რეზერვი იქნება სახელმწიფოს ხელში ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. გეგმის გადაჭარბებით შესრულების შედეგად მიღებული სახსრებით ჩვენ შეგვიძლია კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ საბინაო მშენებლობა, სკოლა-ინტერნატების, სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი სამრეწველო საწარმოების მშენებლობა. შეიძლება მეტი სახსრები გამოიყოს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების უსწრაფესად განვითარებისათვის. გადიდდება აგრეთვე ჩვენი შესაძლებლობანი, რათა დახმარება გავუწიოთ მოძმე სოციალისტურ ქვეყნებს.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება, მასების საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება და შრომითი ენთუზიაზმი სრულ რწმენას გვინერგავს, რომ ჩვენი ახალი გეგმა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდება.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება

ამხანაგებო! შვიდწლიან გეგმაში დასახულია ამოცანა — ეკონომიკის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობისა და მძიმე ინდუსტრიის უპირატესი ზრდის საფუძველზე **უზრუნველყოფილ იქნას მშრომელთა** ცხოვრების დონის განუწყვეტელი ამაღლება.

თანამედროვე პირობებში, როცა ჩვენს ქვეყანაში შექმნილია და წარმატებით ვითარდება მძლავრი მრეწველობა და მსხვილი სოფლის მეურნეობა, ყველა პირობაა იმისათვის, რომ უახლოეს დროში საბჭოთა ხალხმა კიდევ უკეთ იცხოვროს, უფრო სრულად დაიკმაყოფილოს მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია:

— ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდა და ამ საფუძველზე მშრომელთა რეალური შემოსავლის სერიოზული გადიდება;

— სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირება და ქვირაში სამუშაო დღეების რიცხვის შემცირება;

— სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება და მისი ხარისხის გაუმჯობესება;

— საბინაო მშენებლობის ფართო გაქანება;

— მოსახლეობის საზოგადოებრივი, კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

სოციალიზმის დროს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ყველაზე განზოგადებული მაჩვენებელი და რეალური ბაზაა ეროვნული შემოსავლის ზრდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კაპიტალისტთა კლასები ითვისებენ ეროვნული შემოსავლის ნახევარზე მეტს, მაშინ როცა ისინი შეადგენენ ამ ქვეყნის მთელი მოსახლეობის მხოლოდ დაახლოებით მეათედს. სსრ კავშირში პირადი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის მშრომელები იღებენ ეროვნული შემოსავლის დაახლოებით სამ მეოთხედს. ეროვნული შემოსავლის დანარჩენი ნაწილი, რომელიც აგრეთვე მშრომელებს ეკუთვნის, ხმარდება სოციალისტური წარმოების გაფართოებასა და სხვა საზოგადოებრივ საჭიროებებს.

სსრ კავშირის ეროვნული შემოსავალი 1965 წელს 1958 წელთან შედარებით გაიზრდება 62-65 პროცენტით და ომამდელი 1940 წლის დონეს გადააჭარბებს თითქმის ექვსჯერ. ეროვნული შემოსავლის ზრდის ასეთი სწრაფი ტემპები არ ყოფილა არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში. ეროვნული შემოსავლის ზრდა უზრუნველყოფს სახალხო მოხმარების შემდგომ ამაღლებას, რომლის მოცულობა შვიდ წელიწადში 60-63 პროცენტით გადიდდება. მნიშვნელოვნად იზრდება მშრომელთა შემოსავალი.

ფულადი ხელფასის, პენსიებისა და დახმარების ზრდის, საზოგადოებრივ კვებაში ფასების შემცირების შედეგად მუშა-მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით შვიდწლედის დამლევისათვის გაიზრდება 40 პროცენტით. ამასთან გათვა-

(გაგრძელება მე-6 გვერდზე)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

ლისწინებულია მცირეხელფასიანი მუშებისა და მოსამსახურეების მინიმალური ხელფასი გადიდდეს 270-350 მანეთიდან 500-600 მანეთამდე თვეში. კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი აგრეთვე გაიზრდება სულ ცოტა 40 პროცენტით, უმთავრესად კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი წარმოების ზრდის შედეგად.

ამჟამად საბჭოთა კავშირის მთელი სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარება ხორციელდება უმთავრესად სოციალისტურ საწარმოთა დაგროვებით. შვიდწლიანი გეგმის შესრულების კვალობაზე ამ დაგროვების ოდენობა განუხრელად გაიზრდება და საბოლოო ანგარიშით გახდება გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოებისა და ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების უზრუნველყოფის ერთადერთი წყარო.

ამ პირობებში მოსახლეობის გადასახადების არსებობა არ არის გამოწვეული საჭიროებით არც ამ გადასახადების კლასობრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით, როგორც ეს იყო წარსულში კაპიტალისტური ელემენტების შემოსავლის შეზღუდვის აზრით, არც სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მით უმეტეს, რომ მოსახლეობის გადასახადების ხვედრითი წონა უკვე ახლა უმნიშვნელოა და შეადგენს ბიუჯეტის შემოსავლის მხოლოდ 7,8 პროცენტს.

ყოველივე ეს შესაძლებლობას გვაძლევს უახლოეს წლებში უარი ვთქვათ მოსახლეობისათვის გადასახადების გადახდევინებაზე. რა თქმა უნდა, ასეთი დიდი ღონისძიების განხორციელება მოითხოვს ყოველმხრივ შესწავლასა და ჯეროვან მომზადებას, რათა იგი განხორციელდეს რაც შეიძლება გონივრულად, მოსახლეობისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვის გათვალისწინებით.

ცნობილია, რომ მშრომელთა საპენსიო უზრუნველყოფა ჩვენში უკეთესია, ვიდრე რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანაში. სსრ კავშირში ყველა მუშისა და მოსამსახურის საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე. იმ კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც არსებობს საპენსიო უზრუნველყოფა, იგი ხორციელდება ძირითადად თვით მშრომელთა ხარჯზე, რადგან ფონდები მეტწილად იქმნება თვით მუშების ხელფასის ანარიცხების ხარჯზე.

კაპიტალიზმისათვის გადაუჭრელი სოციალური პრობლემა — მოსახლეობის დასაქმების პრობლემა, მუდმივი უმუშევრობა ქალაქებში და გლეხობის მასობრივი გაღატაკება სოფლად უცხოა სოციალისტური საზოგადოებისათვის. შვიდი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გადიდდება კიდევ თითქმის 12 მილიონით და 66,5 მილიონი კაცი იქნება.

როგორც იცით, შვიდწლიან გეგმაში ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების სხვა ღონისძიებებთან ერთად გათვალისწინებულია განხორციელდეს ხელფასის მომატება. ისმება კითხვა: ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში მხოლოდ ხელფასის პირდაპირი მომატებისა და ფასების შემდგომი შემცირების გზით უნდა ვიაროთ?

რა თქმა უნდა, პარტია და მთავრობა თანმიმდევრულად განახორციელებენ ხელფასის მომატებისა და ფასების დაკლების დასახულ კურსს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთი გზაა. საბჭოთა ადამიანების მატერიალური და კულტურული უზრუნველყოფა განისაზღვრება არა მარტო სახსრების იმ თანხით, რომელიც შედის მათს პირად განკარგულებაში ხელფასის სახით და ფასების დაკლების შედეგად. სწორი არ იქნებოდა ისე წარმოგვედგინა საქმე, რომ თუ შენ დღეს, იღებ რა შენს მუშაობაში, მაგალითად, 30 მანეთს დღეში, იმყოფები სოციალიზმის პირობებში, ხოლო თუ ხვალ მიიღებ ხუთჯერ მეტს, უკვე გადასული ხარ კომუნიზმში.

სოციალიზმის დროს საზოგადოების ზრუნვა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ვრცელდება ადამიანის ფართო, მრავალგვარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. ჩვენ გვაქვს მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების, მთელი საზოგადოებისათვის, ამასთანავე თვითეული ადამიანისათვის ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნის ჭეშმარიტად კომუნისტური გზა. ეს არის: ადამიანთა უზრუნველყოფა კეთილმოწყობილი ბინით, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია, ადამიანთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება, საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, სახალხო განათლების სრულყოფა, მოსახლეობის დასვენების ორგანიზაცია და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, კულტურის დაწესებულებათა მშენებლობა და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, როცა ჩვენში გაჩნდა საზოგადოებრივი სასადილოები, საბავშვო ბაღები, ბაგები, ვ. ი. ლენინმა მათ უწოდა „კომუნიზმის ყლორტების ნიშუშები“. ამ ყლორტებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება, მათი მოვლა მას მიაჩნდა პარტიისა და სახელმწიფოს უპირველეს მოვალეობად. ამბობდა, რომ „...პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლების დახმარებით, კომუნიზმის ყლორტები კი არ ჩაჭკნება, არამედ გაიფურჩქნება და სრულ კომუნიზმად განვითარდება“ (თხზ., ტ. 29, გვ. 504). ახლა ჩვენ გვაქვს უკვე არა ცალკეული ყლორტები, არამედ კომუნისტური ტიპის სხვადასხვა ორგანიზაციების მთელი სისტემა, და ჩვენი მოვალეობაა გავამრავლოთ ეს ორგანიზაციები, გავაუმჯობესოთ და სრულყოთ მათი მუშაობა.

ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა, მისი ცხოვრება წარმოუდგენელია, შეუძლებელია კოლექტივის გარეშე, საზოგადოებისაგან მოწყვეტით, რომელთანაც იგი დაკავშირებულია მრავალი სულ სხვადასხვაგვარი ურთიერთობით. ადამიანის ცხოვრების ეს საზოგადოებრივი მხარე სულ უფრო მეტად და სრულად იჩენს თავს კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში. ამიტომ თვითეული ადამიანის ინდივიდუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება უნდა ხდებოდეს საზოგადოებაში მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ზრდასთან ერთად. იგი უნდა ხდებოდეს არა მარტო ხელფასის მომატების გზით, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი ფონდების საშუალებით, რომელთა როლი და მნიშვნელობა სულ უფრო გაიზრდება.

სახელმწიფოს ხარჯები მშრომელთა საზოგადოებრივი მომსახურებისათვის განუწყვეტლივ იზრდება. მაგალითად, საგულისხმოა, რომ სოციალური დაზღვევის, დახმარების. პენსიების, მოსწავლეთა სტიპენდიების, უფასო სწავლების. სამედიცინო მომსახურების, შვებულების ანაზღაურების, სკოლა-ინტერნატების შენახვის, საბავშვო ბაღების, ბაგების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, ღრმა მოხუცთა სახლების შენახვისა და სხვა მიზნებით გაცემული თანხებისა და შეღავათების სახით 1958 წელს დაიხარჯა 215 მილიარდ მანეთზე მეტი. შვიდწლიანი გეგმით ხარჯები ამ მიზნებისათვის 1965 წელს უნდა გადიდდეს დაახლოებით 360 მილიარდ მანეთამდე და შეადგინოს დაახლოებით 3.800 მანეთი თვითეულ მუშაკზე წელიწადში. გარდა ამისა, ბინების, სკოლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობისათვის დაიხარჯება სახელმწიფო სახსრები 800 მანეთზე მეტი ერთ მუშაკზე წელიწადში.

ეს, ამხანაგებო, მცირე თანხები როდია. მხოლოდ სოციალისტურ სახელმწიფოს შეუძლია გამოჰყოს ასეთი სახსრები თავის მოქალაქეთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ტყუილად როდი არის ხოლმე განცვიფრებული კაპიტალისტური სამყაროდან ჩვენში ჩამოსული ბევრი. ხშირად კომუნიზმიდან შორს მდგომი, მაგრამ პატიოსანი ადამიანი, როცა ხედავს, თუ რა ბევრი რამ კეთდება ადამიანისათვის ჩვენს ქვეყანაში.

ავიღოთ ისეთი საარსებო საკითხი, როგორიც არის ბინით უზრუნველყოფა. საბინაო პრობლემა კაცობრიობის ერთ-ერთი უმწვავესი სოციალური პრობლემაა. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც ნათქვამია ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის „ფაქტების წიგნში“. 15 მილიონი კაცი ცხოვრობს ქოხმახებში, 13 მილიონი სახლი (ყველა სახლის საერთო რიცხვის მეოთხედი) არ შეეფერება პირობებს, რომლებსაც საცხოვრებელ სახლებს უყენებენ, ქალაქის 7 მილიონი სახლი უვარგისია საცხოვრებლად მათი სრული სიძველის გამო. ბინის საჭიროება, დიდი საბინაო ქირა, რომელიც ოჯახის ბიუჯეტის 25-30 პროცენტს შეადგენს. მუდამ ტანჯავს მშრომელებს კაპიტალისტურ სამყაროში.

საბჭოთა კავშირში მუდამ სულ უფრო მეტია ზრუნვა მშრომელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ბინის ქირა, კომუნალური მომსახურების ჩათვლით, ჩვენს ქვეყანაში შეადგენს ოჯახის ბიუჯეტის საშუალოდ 4-5 პროცენტს. სოფლად საცხოვრებელი სახლები შენდება კოლმეურნეობათა და სახელმწიფოს დახმარებით. ასეთი შესაძლებლობა მშრომელებს არა აქვთ არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში.

პარტიისა და მთავრობის მიერ 1957 წელს დასახული ამოცანა — აღმოიფხვრას ბინების ნაკლებობა და ამით გადაიჭრას საბინაო პრობლემა უახლოეს 10-12 წელიწადში — წარმატებით სრულდება. უკანასკნელ ორ წელიწადში აშენებულია 120 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ანუ 12 მილიონი კვადრატული მეტრით მეტი, ვიდრე გათვალისწინებული იყო გეგმით. შვიდწლედში დასახულია აშენდეს 650-660 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ანუ დაახლოებით 15 მილიონი ბინა. ეს მეტია, ვიდრე მთელი საქალაქო საბინაო ფონდი, რომელიც შექმნილია საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

დასახულია ამოცანა, რომ საცხოვრებელი ფართობის განაწილების დროს ოჯახს მიეცეს ცალკე ბინა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საპროექტო ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას, რომელთა საქმიანობა უნდა აკმაყოფილებდეს გაზრდილ მოთხოვნებს. საპროექტო ორგანიზაციებმა ფართო დანერგვისათვის უნდა შეიმუშაონ საცხოვრებელი სახლების ეკონომიური ტიპური პროექტები, აგრეთვე ქალაქების განვითარების გენერალური გეგმები და სოფლის დასახლებული ადგილების დაგეგმვის პროექტები, ამასთან მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ ცხოვრების პირობები ქალაქად და სოფლად აკმაყოფილებდეს საბჭოთა ადამიანის მრავალმხრივ მოთხოვნილებებს.

ადამიანი უნდა უზრუნველვყოთ არა მარტო კარგი ბინით, არამედ კიდევაც ვასწავლოთ მას სწორად ისარგებლოს საზოგადოებრივი სიკეთით, სწორად იცხოვროს, დაიცვას სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები. ეს თავისთავად როდი მოდის, არამედ შეიძლება მიღწეულ იქნას ახალი, კომუნისტური ყოფაცხოვრების გამარჯვებისათვის ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლით.

შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება. კაპიტალისტურ ქვეყნებში არავის არაფერი არ ესაქმება, თუ რა მოუვა მშრომელ ადამიანს, მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ყოველი სამედიცინო დახმარებისათვის, რა დიდი თუ მცირეც უნდა იყოს იგი, უნდა გადაიხადო პირადი სახსრებიდან დიდი თანხა. როცა ჩვენ ფინეთში ვიყავით, ერთმა მუშამ გვიამბო, თუ როგორ გაუჭირდა მას, როცა დაავადდა აპენდიციტით და საჭირო იყო ოპერაციის გაკეთება. ამაში მას ბევრი ფული უნდა გადაეხადა ან მომკვდარიყო.

და ეს ერთეული ფაქტი როდია. ამერიკის ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“ იუწყება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სამედიცინო მომსახურების ღირებულება „ძძიმე ტვირთად აწვება საშუალო ოჯახს“. ჟურნალი იუწყება, რომ კუჭის წყლულის მკურნალობა, მაგალითად, ქირურგიული ჩარევის დროს ღირს 1.264,5 დოლარი, რომელთაგან 325.5 დოლარს ახდევინებენ საავადმყოფოში 21 დღის ყოფნისათვის, 500 დოლარს — ოპერაციისათვის, 75 დოლარს — საოპერაციოში ყოფნისათვის, 3 დოლარს — გამოჯანსაღებულთა პალატაში ყოფნისათვის, 78.6 დოლარს — მკურნალობისათვის, 21,5 დოლარს — ჟანგბადისათვის, 56,3 დოლარს — შესახვევი საშუალებებისათვის, 99 დოლარს — ლაბორატორიული მომსახურებისათვის, 50 დოლარს — ანესტეზიისათვის, 55 დოლარს — რენტგენოსკოპიისათვის.

საბჭოთა კავშირში, როგორც ცნობილია, მშრომელები სარგებლობენ უფასო სამედიცინო მომსახურებით, მათ განკარგულებაშია საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების ფართო ქსელი. სახელმწიფოს მთელი ხარჯები, დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომ გაუმჯობესებასთან, შვიდწლედში შეადგენს თითქმის 360 მილიარდ მანეთს.

ხალხის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების შედეგად ჩვენს ქვეყანაში გაიზარდა ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობა. საბჭოთა კავშირში უკანასკნელი წლების მანძილზე ყველაზე მცირე სიკვდილიანობაა მსოფლიოში, ხოლო მოსახლეობის მატება მეტია, ვიდრე მეტ წილ ქვეყნებში. სსრ კავშირში მოსახლეობის საერთო სიკვდილიანობა რევოლუციამდელთან შედარებით შემცირდა ოთხჯერ, ხოლო ბავშვთა სიკვდილიანობა — ექვსჯერ.

ასეთია ობიექტური მონაცემები, და ისინი ბევრ რამეზე მეტყველებენ.

კომუნისტურ პარტიას თავის ერთ-ერთ საპროგრამო ამოცანად მუდამ მიაჩნდა ბრძოლა სამუშაო დღის შემცირებისათვის. საკონტროლო ციფრების პროექტით დასახულია 1960 წელს დამთავრდეს მუშა-მოსამსახურეთა გადაყვანა შვიდი საათის სამუშაო დღეზე, ხოლო ქვანახშირის და სამთამადნო მრეწველობაში წამყვანი პროფესიების მუშებისა, რომლებიც დასაქმებული არიან მიწისქვეშა სამუშაოებზე, — ექვსი საათის სამუშაო დღეზე 1962 წელს გათვალისწინებულია შვიდი საათის სამუშაო დღეზე მყოფ მუშა-მოსამსახურეთა გადაყვანა 40-საათიან სამუშაო კვირაზე.

1964 წლიდან დასახულია შევუდგეთ მიწისქვეშა სამუშაოებში და შრომის მავნე პირობებიან წარმოებაში დასაქმებული მუშაკების თანდათანობით გადაყვანას 30 საათის სამუშაო კვირაზე და ყველა დანარჩენი მუშაკისა — 35 საათის სამუშაო კვირაზე. ეს ნიშნავს, რომ კვირაში ერთი დასასვენებელი დღის პირობებში სამუშაო დღის ხანგრძლივობა იქნება 5 ან 6 საათი სამუშაოს ხასიათის მიხედვით. ვითვალისწინებთ რა, რომ მუშებისა და მოსამსახურეების უმრავლესობისათვის უფრო მოსახერხებელია კვირაში ჰქონდეთ ორი დასასვენებელი დღე, ნავარაუდევია შემოღებულ იქნას ხუთდღიანი სამუშაო კვირა 6-7 საათის სამუშაო დღით.

შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადასვლა და სამუშაო კვირის შემცირება ჩვენში განხორციელდება არა მარტო ხელფასის შეუმცირებლად, არამედ მისი მნიშვნელოვანი გადიდების პირობებში. **სსრ კავშირში იქნება მსოფლიოში ყველაზე მოკლე სამუშაო დღე და ყველაზე მოკლე სამუშაო კვირა მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან ერთად.**

საბჭოთა კავშირში პროდუქტების წარმოების ზრდა იწვევს მთელი მოსახლეობის მოხმარების განუწყვეტლივ გადიდებასა და კვების გაუმჯობესებას, მაშინ როცა კაპიტალის ქვეყნებში საშუალო ციფრებს იქით იმალება უდიდესი შეუფარდებლობა შეძლებული კლასებისა და მშრომელების, აგრეთვე მეტროპოლიებისა და კოლონიების მოსახლეობის კვების დონეში.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება, მოსახლეობის შემოსავლის ზრდა მოითხოვს ვაჭრობის გაუმჯობესებასა და განვითარებას. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა შვიდ წელიწადში გადიდდება დაახლოებით 62 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაფართოდება მოსახლეობისათვის კვების პროდუქტების, ქსოვილების, ტანსაცმლის. საცვლებისა და ფეხსაცმლის მიყიდვა, შვიდ წელიწადში დასახულია აშენდეს 90 ათასი მაღაზია და საზოგადოებრივი კვების 64 ათასი საწარმო.

ამხანაგებო! საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს საზოგადოებრივი კვების განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა. კიდევ უფრო ფართოდ უნდა გავშალოთ ფაბრიკა-სამზარეულოების, სასადილოების ქსელი საწარმოებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში, უნდა გვქონდეს საზოგადოებრივი სასადილოები საცხოვრებელ სახლებში, რათა მშრომელთა ოჯახების წევრებს შეეძლოთ ისარგებლონ ამით და უკეთ მოაწყონ თავიანთი კვება.

დასახულია ამოცანა შემცირდეს საზოგადოებრივი კვების პროდუქტების ფასები.

უნდა გაფართოვდეს ტანისამოსისა და ფეხსაცმლის საკერავი და სარემონტო, ბინების, ავეჯის, სამეურნეო და კულტურული საჭიროების საგნების სარემონტო საწარმოების ქსელი, გაუმჯობესდეს მოსახლეობის მომსახურება.

ჩვენი საზღვარგარეთელი მოწინააღმდეგეების მხრივ გაისმის ხმები, თითქოს საბჭოთა შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს უმთავრესად მძიმე ინდუსტრიის განვითარებას და „მსხვერპლს“ მოითხოვს მოსახლეობისაგან. ჩვენს გეგმაში მართლაც გათვალისწინებულია დიდი კაპიტალდაბანდებანი მძიმე მრეწველობის განვითარებაში. აბა სხვანაირად როგორ შეიძლება?

იმისათვის, რომ საკმაო რაოდენობით გვექნეს მოხმარების საშუალებანი, საჭიროა წარმოების საშუალებანი, საჭიროა ლითონის მოპოვება, მანქანების შექმნა, ავტომატური ხაზების შემოღება, რომლებიც იმუშავებენ ადამიანისათვის მის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ისეთი უბრალო პროდუქტის მოყვანისთვისაც კი, როგორიც არის კარტოფილი, საჭირო იყო ლითონის სახნისი ხის გუთანზე. ჩვენ კი მივდივართ კომუნისტური საზოგადოებისაკენ, ჩვენ გვსურს, რომ მანქანებმა შეასრულონ ყველა ძირითადი სამუშაო, ადამიანი კი მხოლოდ მართავდეს მათ. ყოველი გლეხი წინათ ყველაფერს იკლებდა, როცა სურდა ცხენი ეყიდა. მან კარგად იცოდა, რომ თუ ცხენი ეყოლებოდა, შეეძლო გასძღოლოდა მეურნეობას, ხოლო უცხენოდ ვერ იცხოვრებდა. ახლა სხვა დროა. ინდუსტრიის განვითარება, წარმოების საშუალებათა ზრდა — აი ჩვენი მძლავრი ცხენი. თუ ის გვექნა, — ყველაფერი დანარჩენიც გვექნება.

პირველი ხუთწლედების მანძილზე, როცა იდგა საბჭოთა ქვეყნის — მსოფლიოში სოციალიზმის ერთადერთი ქვეყნის, რომელიც გარშემორტყმული იყო კაპიტალისტური ქვეყნებით, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, საბჭოთა ხალხი ძაბავდა მთელ თავის ძალებს, შეგნებულად მიჰქონდა მსხვერპლი, რათა თავი დაეღწია საუკუნეობრივი ჩამორჩენილობისათვის და შეექმნა მძლავრი სოციალისტური ეკონომიკა. მაგრამ მაშინაც კი პარტია და სახელმწიფო ყველაფერს აკეთებდნენ, რაც შესაძლებელი იყო, რომ გაეუმჯობესებინათ მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა. ახლა ჩვენ გვაქვს განვითარების სხვა დონე, სხვა შესაძლებლობანი, სხვა ძალები, და ჩვენ გადაჭრით ვისახავთ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების ამოცანას. ამიტომ არავის არ შეუძლია ილაპარაკოს რაღაც „მსხვერპლზე“, თუ სიმართლე არ დაამახინჯა.

სცადონ ჩვენი გეგმის „კრიტიკოსებმა“ და დაასახელონ თუნდაც ერთი კაპიტალისტური მთავრობა, რომელსაც დაესახოს სახალხო მოხმარების გადიდება ისე დიდი მოცულობით, როგორც ჩვენში! დაასახელონ ისეთი ბურჟუაზიული სახელმწიფო, სადაც გათვალისწინებული იყოს სამუშაო დღის შემოკლება ხელფასის შენარჩუნებისა და ზრდის დროსაც. კი. კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს, მშრომელებს ამისათვის უხდებათ აწარმოონ მკაცრი ბრძოლა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ. ისეთი მთავრობები, ისეთი სახელმწიფოები, სადაც იყოს ასეთი ზრუნვა მშრომელებისათვის, კაპიტალისტურ სამყაროში არ არის და არც შეიძლება იყოს.

კომუნისტური აღზრდისა და სახალხო განათლების შესახებ, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების შესახებ

ამხანაგებო! კომუნიზმზე გადასასვლელად საჭიროა არა მარტო განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არამედ აგრეთვე საზოგადოების ყველა მოქალაქის შეგნებულობის მაღალი დონე. **რაც უფრო მაღალია მილიონიანი მასების შეგნებულობა, მით უფრო წარმატებით შესრულდება კომუნისტური მშენებლობის გეგმები.** აი ამიტომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახლა მშრომელთა, მეტადრე მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საკითხებს.

ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მთელი იდეოლოგიური მუშაობა მოწოდებულია განუვითაროს საბჭოთა ადამიანებს ახალი თვისებანი, აღზარდოს ისინი კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის, ახალი საზოგადოების მორალის მაღალი პრინციპების სულისკვეთებით, მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით. კომუნიზმს, ყველაზე სამართლიან და სრულყოფილ საზოგადოებას რომ მივაღწიოთ, როცა სავსებით გამოჩნდება თავისუფალი ადამიანის ყველა საუკეთესო ზნეობრივი თვისება, საჭიროა უკვე ახლა აღვზარდოთ მომავლის ადამიანი. საჭიროა საბჭოთა ადამიანებს განვუვითაროთ კომუნისტური ზნეობა, რომელსაც საფუძვლად უდევს კომუნიზმის ერთგულება და მტრებისადმი შეურიგებლობა, საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნება, შრომაში აქტიური მონაწილეობა საზოგადოების საკეთილდღეოდ, ადამიანთა საერთო ცხოვრების ძირითადი წესების ნებაყოფლობით დაცვა, ამხანაგური ურთიერთდახმარება, პატიოსნება და სიმართლე, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებისადმი შეუწყნარებლობა.

ბურჟუაზიული იდეოლოგები და პოლიტიკოსები, მათი დამქაში ოპორტუნისტები ცოტა ღონისძიებას როდი ხმარობენ, რათა დაამტკიცონ, თითქოს კომუნისტები უარყოფენ მორალს, თითქოს სოციალიზმი არ შეესაბამება კაცობრიობის მორალურ კანონებს. თავიანთ თავს კი რეკლამას უკეთებენ როგორც მორალურ ღირებულებათა, ჰუმანიზმის, პიროვნების თავისუფლებისა და უფლებების დამცველებს.

მაგრამ განა არის რაიმე საფუძველი ასეთი მტკიცებისათვის? ამაზე პასუხს იძლევა თვით ცხოვრება, ორი სამყაროს მორალის უბრალო შედარება.

ინდივიდუალიზმის, პირადი ანგარების სულისკვეთება, გამდიდრების წყურვილი, მტრობა და კონკურენცია — ასეთია ბურჟუაზიული საზოგადოების მორალის არსი. ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, რომელზეც აგებულია ბურჟუაზიული საზოგადოება, წარმოადგენს ზნეობრიობის უაღრესად უხეშ გათელვას. ტყუილად კი არ ხასიათდება ექსპლოატატორული კლასების მორალი სასტიკი ფორმულით: „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“. სოციალიზმი ამკვიდრებს სხვა მორალს — თანამშრომლობისა და კოლექტივიზმის, მეგობრობისა და ურთიერთდახმარების მორალს. აქ პირველ ადგილზეა წამოწეული ზრუნვა ხალხის საერთო სიკეთისათვის, ადამიანის პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის კოლექტივის პირობებში, სადაც ადამიანი ადამიანისათვის მტერი კი არ არის, არამედ მეგობარი და ძმაა.

კომუნიზმისათვის მებრძოლნი შთაგონებული არიან კაპიტალის უღლისაგან ხალხის მასების განთავისუფლების კეთილშობილური იდეებით, კაცობრიობის საერთო სიკეთისათვის სამსახურის იდეებით. პირადი მაგალითით და პირადი ყოფაქცევით მათ ცხადყვეს დიდი ზნეობრივი ძალა. კომუნისტები არასოდეს არ იშურებდნენ არც ძალებს, არც თავის სიცოცხლეს, გაბედულად მიდიოდნენ სიკვდილსა და წამებაზე მაღალი იდეალების განხორციელებისათვის. ბევრი კომუნისტი თავისი ჰუმანისტური რწმენის, ხალხისადმი თავისი ერთგულებისა და მისი ბედნიერებისათვის თავდადებული ბრძოლის გამო ახლაც იტანჯება კაპიტალის ქვეყნების საპყრობილეებსა და ჯურღმულებში.

სოციალისტურ ქვეყნებში კომუნიზმის იდეების დიდი ზნეობრივი ზემოქმედება თავს იჩენს მილიონობით ადამიანის აქტიური მონაწილეობით ახალი ცხოვრების მშენებლობაში. ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს არ ძალუძთ გაიგონ პატრიოტიზმი და შრომითი ენთუზიაზმი საბჭოთა ადამიანებისა, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესებს პირად ინტერესებზე მაღლა აყენებენ, რადგან შეგნებული აქვთ, რომ სოციალიზმის დროს ადამიანთა კეთილდღეობასა და ბედნიერებას უზრუნველყოფს მთელი საზოგადოება.

ავიღოთ, მაგალითად, ისეთი ფაქტი, როგორიც არის მშრომელთა ინიციატივით განხორციელებული ღონისძიებანი სახელმწიფო სესხების მიმართ. მილიონობით საბჭოთა ადამიანმა ნებაყოფლობით მოითხოვა ძველი სახელმწიფო სესხებით გადასახდელთა განვადება 20-25 წლით. ეს ფაქტი გვიჩვენებს ჩვენი ხალხის ხასიათის ისეთ ნიშნებს, ისეთ მორალურ თვისებებს, რომლებიც წარმოუდგენელია ექსპლოატატორული წყობილების პირობებში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი გამოდის ექვს გვერდზე

რედაქტორი დ. მჟედლიშვილი

რედაქციის: და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეებს — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20.43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65.

УЭ 01128 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 2